საქართველო

გაზეთი 1918 წლიდან

www.sak.ge • ელ. ფოსტა: sak@sak.ge

რესპუბლიკა

№126 (9806) 2024 წლის 4 ნოემბერი. ორშაბათი

ფასი 1 ლარი

2–3

უკანასკნელი ხოჯას აბანო ორშაბათის მომლოდინე რადიკალურ ოპოზიციაში

ირაკლი ვაშაყმაძე

რა ესირცხვილებოდა უიტმენს!



უფალო, გააბრწყინე, სულიწმინდით ფესვძლიერი, ღვთისმშობლის წილხვდომილი, ფარნავაზის, ქუჯის, მირიანის, გორგასლის, ალმაშენებლის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ჟიული შარტავას, გურამ გაბეს კირიას, გიორგი ანწუხელიძის საქართველო!

7

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მნიშვნელოვანი გამოცემა

5

WINECAST, — წინანდლის მამულში

აიათოლა ალი ხამენეი

2

ისრაელი და აშშ ირანისგან გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ

ალეკო ასლანიშვილი

ღმერთო, დამიფარე მეგობრებისგან!..

არჩევნები განმეორებით რომ დაინიშნოს, ოპოზიცია უარესად დამარცხდება და თავი ბაწარში ექნება გასაყრელი!

4

მოსყიდულებიც და სულელებიც!

სააკაშვილი დამთავრებულია, მაგრამ გვარამიამ, მელიამ, ვაშაძემ ხომ იციან საზოგადოებრივი განწყობები?!

6

მაინც სიცოცხლე სჯობს!

8

როგორ შევაჩეროთ პოტენციური თვითმკვლელი?!

ტრაგიკომედია გრძელდება

10

თაობათა ცვლა „ერთიან დამანგრეველ მოძრაობაში“

ირაკლი კობახიძე: უცხოეთიდან ქართველი რევოლუციონერების“ დაფინანსება სრულად გამჭვირვალე უნდა იყოს!

„ამ ეტაპზე ჩვენ გვაქვს სპეციფიკურ საკითხებთან დაკავშირებული გამოწვევები: მაგალითად, საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებული კანონი გამჭვირვალობის შესახებ. როცა ვინმე, ვინც სარგებლობს უცხოური დაფინანსებით, ცდილობს რევოლუციის წახალისებას საქართველოში, ჩვენ ვთვლით, რომ ამ შემთხვევაში მისი დაფინანსება უნდა იყოს სრულად გამჭვირვალე. ოჯახური ღირებულებების დაცვის კანონით არ იზღუდება ადამიანის უფლებები. აქ საუბარია პროპაგანდის შეზღუდვაზე. ეს კანონი პასუხობს ადამიანის უფლებათა სტანდარტებს“!

საქართველოს მთავრობა ერთმნიშვნელოვნად პროევროპულია, – ამის შესახებ საქართველოს პრემიერ-მინისტრმა ირაკლი კობახიძემ იტალიურ სატელევიზიო არხ SKY-სთან ინტერვიუში განაცხადა.

როგორც მთავრობის მეთაურმა აღნიშნა, საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვრულია, რომ ყველა ხელისუფლებამ ხელი უნდა შეუწყოს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას.

„ჩვენთვის აქ არჩევანის საკითხი არ დგას, რადგან საქართველოს კონსტიტუციაში ქვეყნის საგარეო პოლიტიკის პრიორიტეტად განსაზღვრულია, რომ ყველა ხელისუფლებამ ძალ-ღონე არ უნდა დაიშუროს, რათა ხელი შეუწყოს საქართველოს ევროპულ ინტეგრაციას. მთავრობა ერთმნიშვნელოვნად პროევროპულია“, – განაცხადა პრემიერ-მინისტრმა.

ჩვენ არ გვაქვს არავითარი დიპლომატიური ურთიერთობები რუსეთის ფედერაციასთან, რადგან ჩვენი ტერიტორიის 20% ოკუპირებულია რუსეთის ფედერაციის მიერ.

დონალდ ტრამპი: ბაიდენის პოლიტიკამ რუსეთი და ჩინეთი გააერთიანა, რაც ძალიან სახიფათოა!



ბაიდენის პოლიტიკამ რუსეთი და ჩინეთი გააერთიანა, რაც ძალიან სახიფათოა, – ამის შესახებ აშშ-ის პრეზიდენტობის კანდიდატმა დონალდ ტრამპმა არიზონას შტატში მხარდამჭერებთან შეხვედრის დროს განაცხადა.

აშშ-ის ყოფილი პრეზიდენტის თქმით, მოქმედი პრეზიდენტისგან განსხვავებით, მას შეუძლია რუსეთის და ჩინეთის კვლავ განცალკევება. დონალდ ტრამპმა ასევე აღნიშნა, რომ აშშ კარგავს დოლარის სტანდარტს, რაც ომის წაგების მსგავსია.

„ერთი რამ, რაც არასდროს გვინდოდა გვეხილა, არის რუსეთის და ჩინეთის გაერთიანება. ჩვენ გავაერთიანეთ ისინი. ბაიდენმა გააერთიანა ისინი. ეს სირცხვილია და სისულელეა, რაც გააკეთეს. მე მომინევს მათი დაშორება. ვფიქრობ, რომ მე შემიძლია ამის გაკეთება. ისინი ბუნებრივი მტრები არიან, რადგან რუსეთს აქვს უზარმაზარი მიწა და ეს ჩინეთს სჭირდება. ჩინეთს არ აქვს მიწა მოსახლეობისთვის. ისინი ბუნებრივი მტრები არიან და ჩვენ დავუშვით მათი ერთად ყოფნა. ეს ძალიან სახიფათო რამ არის“, – განაცხადა დონალდ ტრამპმა.

აიათოლა ალი ხამენეი ისრაელი და აშშ ირანისგან გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ

ისრაელი და აშშ ირანისგან გამანადგურებელ პასუხს მიიღებენ, – ამის შესახებ ირანის სულიერმა ლიდერმა აიათოლა ალი ხამენეიმ 1979 წლის რევოლუციის 45-ე წლისთავის აღსანიშნავად ღონისძიებაზე, სტუდენტებთან განაცხადა.

„მტრები, იქნება ეს სიონისტური რეჟიმი თუ ამერიკის შეერთებული შტატები, უსათუოდ მიიღებენ გამანადგურებელ პასუხს იმის გამო, რასაც ირანის, ირანელი ხალხისა და წინააღმდეგობის ფრონტის მიმართ აკეთებენ“, – აღნიშნა ხამენეიმ.

უკანასკნელი ხოჯას აბანო ორშაბათის მომლოდინე რადიკალურ ოპოზიციაში

როგორც მოსალოდნელი იყო, 26 ოქტომბრის ქართულ საპარლამენტო არჩევნებს საკმაოდ ხმაურიანი საერთაშორისო ვნებათაღელვა მოჰყვა. საქართველოს და მის ხელისუფლებას არჩევნების წარმატებით ჩატარება ბევრმა ქვეყანამ მიულოცა. ზოგმა არ მიულოცა, მაგრამ ვერაფერი თქვა არჩევნების კანონიერება-უკანონობაზე. ყველაზე საინტერესო კი ის გახლავთ, რომ ჩვენი პატივცემული არმომლოცველები საქართველოში ჩატარებული არჩევნების კომენტირებისას ხაზს უსვამენ... საქართველოს პარლამენტის მიერ მიღებულ კანონებს „უცხოური გავლენის გამჭვირვალობისა“ და „ოჯახური სიწმინდის“ შესახებ.

თითქოს უცნაურია, რა კავშირი უნდა ჰქონდეს ერთმანეთთან საპარლამენტო არჩევნებს და უკვე ისტორიის კუთვნილებად ქცეულ საერთაშორისო აუიოტაჟს ამ კანონების მიღების გამო. თუმცა, თუ გავითვალისწინებთ, რომ ჩვენი დიდი ევრო-ამერიკელი მეგობრები საქართველოს რეალურ დამოუკიდებლობას ვერ ეგუებიან და „უჩვენოდ ვით იმღერეთას“ პრინციპით მოქმედებენ, უცნაური და გასაკვირიც არაფერია.

ჩვენს ყველა მტერ-მოყვრისა ვერა, მაგრამ ჯერ კიდევ (ხუთ ნოემბრამდე) აშშ-ის პრეზიდენტ ჯო ბაიდენის მოსაზრებას კი გავიმეორებ: **„ შეერთებული შტატები მხარს უჭერს საქართველოს სუვერენიტეტს, ტერიტორიულ მთლიანობასა და ევრო-ატლანტიკურ მისწრაფებებს. სწორედ ამიტომ ძალიან საგანგაშო იყო ქვეყნის გოლოდროინდელი დემოკრატიული უკუსვლა, მათ შორის კანონპროექტების ამოქმედება, რომლებიც რუსული კანონების ანარეკლია, ზღუდავს ფუნდამენტურ თავისუფლებებს და სივრცეს დამოუკიდებელი სამოქალაქო საზოგადოებისათვის. საქართველოს 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნებისას დაფიქსირდა ადმინისტრაციული რესურსების გოროტად გამოყენების, ამომრჩეველთა დაშინებისა და იძულების მრავალი შემთხვევა... ყველა მხარეს მოვუწოდებთ, პატივი სცენ კანონის უზენაესობას და ფუნდამენტურ თავისუფლებებს, რომლებიც საქართველოს ევროატლანტიკური მომავლის საფუძვლად რჩება“.**

იმედია, ყურადღება მიაქციეთ, რომ ამერიკის შეერთებული შტატების პრეზიდენტი კიდევ ერთხელ სიტყვასიტყვით იმეორებს უკვე ათასჯერ ნათქვამ შეგონებას ქართული კანონების „რუსულობაზე“ და სააკაშვილის კლანის ყოვლად უსაბუთო თეორიას 26 ოქტომბრის საპარლამენტო არჩევნების გაყალბებაზე.

აქვე შეგახსენებთ, რომ „უცხოური გამჭვირვალობის შესახებ“ კანონის მისაღებად ემზადება ჩვენი კარის მეზობელი თურქეთი. ქართულისგან განსხვავებით, თურქული კანონი მისი დამრღვევისთვის ფინანსური სანქციების გარდა, შვიდ წლამდე თავისუფლების აღკვეთასაც ითვალისწინებს. რაც მთავარია, ევრო-ამერიკელი მეგობრებისაგან ამ კანონის გამო უკიდურესი აღშფოთება-შეშფოთების ნიშნები ჯერჯერობით არ ჩანს.

აშშ-ის სენატის „ჰელსინკის კომისიის“ განცხადებით, „ქართულმა სამოქალაქო საზოგადოებამ, პოლიტიკოსებმა და დამკვირვებლებმა წარმოადგინეს ნათელი მტკიცებულება, რომ არჩევნების შედეგები ქართველი ხალხის ნებას არ გამოხატავს“. თუმცა, ამ უმძიმესი ბრალდების დასადასტურებლად მას არც ერთი (არც ერთი!) მტკიცებულება არ წარმოუდგენია!

ძნელი სარწმუნოა, რომ თვით ამერიკის შეერთებული შტატების უმაღლესი ხელისუფალი ბოკუჩავა-სააკაშვილის შეგონება-დავალებებით ხელმძღვანელობდეს.

რა ბედნიერებაა, პოლიტიკოსი რომ არ ვარ – შემიძლია თავისუფლად ვთქვა ის, რასაც ძია ჯოს ამ სიტყვების წამკითხველი ყველა პოლიტიკოსი ფიქრობს და თქმას ვერ ბედავს: პრეზიდენტობის ვადის გასვლამდე ორიოდე დღით ადრე ბატონმა ბაიდენმა რომ პატივი სცეს საკუთარ თავს, საკუთარ ავტორიტეტს და ასეთი სისულელეები არ იბჟუტუროს, ურიგო არ იქნებოდა.

იმედია, ჩვენი ბალტიისპირელი მეგობრის, ლიეტუვის პარლამენტის წევრის რასა იუკნევიჩიანეს მოსაზრებითაც დაინტერესდებით: „(საქართველოსთვის) ევროპის კარი იხურება, მაგრამ ეს თავად ქართველების ხელით ხდება. იმათი ხელით, ვინც „ქართულ ოცნებას“ ხმა მისცა“.

ძნელია რამე კომენტარის გაკეთება - ქართველი ხალხისადმი ასეთი უმძიმესი შეურაცხყოფა თვით მოსისხლე მტრისგანაც კი მოულოდნელია.

დასკვნა დღესავით ნათელი და მრავლისმთქმელია: ჩვენი ევროკავშირელი და ამერიკელი მეგობრები უცერემონიოდ ერევიან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის საშინაო საქმეებში. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ საქართველო „ევროპაში“ ოფიციალურად შევიდა!

დასკვნა დღესავით ნათელი და მრავლისმთქმელია: ჩვენი ევროკავშირელი და ამერიკელი მეგობრები უცერემონიოდ ერევიან ევროკავშირის არაწევრი ქვეყნის საშინაო საქმეებში. წარმოიდგინეთ, რა მოხდება, თუ საქართველო „ევროპაში“ ოფიციალურად შევიდა!

მოდი, თავი დავანებოთ გულწრფელად თუ პოლიტიკური მოსაზრებებით მომლოცველ ქვეყნებს და არჩევნების შემდგომ მზოლიურ ქართულ ხოჯას აბანოს (აურზაური, გაწამაწია, ვაი-უშველებელი...) დავუბრუნდეთ.

დღეს იქნება საუბარი იმ გეგმაზე მოკლევადიან პერიოდში, რომლითაც ვაპირებთ, განვახორციელოთ ქართველი ხალხის გაბრაზება.

ანა დოლიძე

იმედია, იმის გამეორება არ ღირს, რომ ცესკოს ოფიციალური შედეგებით გაწბილებულმა რადიკალურმა ოპოზიციამ საპარლამენტო მანდატებზე კიდევ ერთხელ უარი განაცხადა, არჩევნების შედეგები გაყალბებულად გამოაცხადა და მომხრეებს ქუჩის აქციებისკენ, სახელმწიფო გადატრიალებისკენ მოუწოდა. ბუნებრივია, პირველი მომწოდებელი „ვივამედელი“ სააკაშვილი იყო: „მე მჯერა, რომ ასეთი აქტიური მოქალაქეები არსებობენ და მინდა მოვუწოდო მათ, რომ დაიწყონ პროტესტები უახლოეს საათებში და უახლოეს დღეებში... ახლა გადამწყვეტია მასობრივი თვითორგანიზაცია და თვითინიციატივა, პარტიებმა თავისი საქმე აკეთონ და თქვენ თქვენი. ასე რომ, ნუ დაელოდებით ნურავის, ნუ შემოიფარგლებით ფეისბუქში უკმაყოფილების გამოხატვით - გამოდით და შეეწინააღმდეგეთ დიქტატურას! დიქტატურა ვერ გაიმარჯვებს!“

ბარემ იმასაც ვიტყვი (ისტორიისთვის, რა თქმა უნდა), რომ არც სააკაშვილს, არც მის რომელიმე ქართველ თანამებრძოლს პრეზიდენტ სალომე ზურაბიშვილის ჩათვლით, არც ვინმე უცხოელ „მეგობარს“ არჩევნების გაყალბების დამადასტურებელი რაიმე მტკიცებულება არ წარმოუდგენია! მართალია, ამ ერთი შეხედვით უაზრო ხოჯას აბანოს გამო პროკურატურამ გამოძიებაც დაიწყო, მაგრამ სამართლიანობისთვის თავგადაკლულმა ქალბატონმა სალომემ, მისმა სატელიტმა „პოლიტიკოსებმა“ ქვეყნის მთავარ საგამოძიებო ორგანოში მისვლასა და რაიმე მტკიცებულებების წარდგენაზე სასტიკი უარი განაცხადეს - მტკიცებულებებს ორშაბათის (4 ნოემბრის) მიტინგზე გაგაცნობთო.

ვნახოთ, როგორც ნაცური ხატოვანი გამოთქმა ღაღადებს, „აღდგომა და... ორშაბათსაო!

ცოტა არ იყოს, ვღელავ, ლიდერთა დასტა არ გამინაწყენდეს, მაგრამ მაინც ნიკა გვარამიათი დავიწყებ - თუ მეტი არაფერი, გვარამიამ ყველაზე ადრე თქვა უარი პარლამენტში შესვლაზე, საკუთარი პარტიის სიაშიც კი არ ყოფილა: „ქუჩა არის ერთადერთი ადგილი, სადაც სახელმწიფოს ბედი წყდება, იმ ვითარებაში, როცა ყველა სხვა დემოკრატიული ინსტიტუტი მიტაცებულია.

ქუჩა არის სახალხო დემოკრატიის ყველაზე ძველი ფორმა და ის საჭიროდ რჩება ყველაზე ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ დემოკრატიებშიც. ქუჩა არ უდრის ძალადობას. ქუჩა უდრის ხალხის აზრის დომინაციას და დემოკრატიის და სახელმწიფოს ხალხის მიერ დაბრუნებას, როცა ამას გართმევენ. ქუჩა არც რომელიმე თაობის ან ჯგუფის პრივილეგიაა, ის ყველასია...

ხალხისთვის ქვეყნის მართვის სადავეების დაბრუნება არის არა მხოლოდ პოლიტიკური პარტიების, არამედ საზოგადოების, არასამთავრობო ორგანიზაციების, გავლენის ცენტრების, ე.წ. ინფლუენსერების - ყველას უფლებაც და ვალდებულებაც. ჩვენ არ ვართ მარტო ამ ქვეყანაში. ეს პოლიტიკური პროცესია და „ლიდერშიპი“ პოლიტიკურ სპექტრს აქვს...

რუსეთიდან ნაკვებ ყოვლად ანტირუს ელენე ხოშტარიას მოვუსმინოთ: „ჩვენ, პროდასავლური ოპოზიციის კოალიციამ, განვაცხადეთ, რომ გადავდივართ ბრძოლის მთავარ ელემენტზე. ეს არის ქუჩის პროტესტი, რომელიც იქნება მშვიდობიანი, მაგრამ ამასთანავე ძალიან პრინციპული და ძალიან მწვავე“.

მართალია, ახალი და ორიგინალური არაფერი უთქვამს, მაგრამ ღვაწლმოსილ მიშისტ ნაცებს ალბათ ძალიან გაახარებდა თეა თუთბერიძის კიდევ ერთხელ გამოჩენა: „ქალაქების და რეგიონების საყურადღებოდ - არ არის საჭირო არავისთვის დალოდება და, მით უმეტეს, თბილისიდან ინსტრუქციების მიღება. თქვენ ადგილებზე უკეთესად იცით, როგორ დაორგანიზდეთ და დაიწყოთ დაუმორჩილებლობის ტალღა. როგორ მოახდინოთ ადმინისტრაციული შენობების ბლოკირება, დაკავება და ა.შ. ქართველები უკრაინაში ვებრძვით რუსებს და როგორ შეიძლება საქართველოში ბრძოლის შევვეშინდეს მათ წინააღმდეგ?! რუსული იმპერიალიზმი საქართველოში უნდა დაემხოს! ერთად ყველაფერი გამოვვივა. დაიმახსოვრეთ, დაუმორჩილებლობა უნდა დაიწყოს მთელი ქვეყნის მასშტაბით და არა მხოლოდ თბილისში!“

თუთბერიძის გამოჩენით გახარებისა რა გითხრათ, მაგრამ საკმარისზე მეტად შემაშფოთებელია სააკაშვილზე შეყვარებული ამ ქალბატონის მოწოდება ახალგაზრდობისადმი სახელმწიფო გადატრიალებისაკენ.

ვნახოთ, რას ბრძანებს რადიკალური ოპოზიციის შთამბეჭდავი „სახე“ ანა დოლიძე: „დღეს იქნება საუბარი იმ გეგმაზე მოკლევადიან პერიოდში, რომლითაც ვაპირებთ, განვახორციელოთ ქართველი ხალხის გაბრაზება“. თუ სწორად გავიგე, რადიკალური ოპოზიციური პარტიის საშუალო წონის წარმომადგენელი რაღაცით უკმაყოფილო (გაბრაზებული) ხალხის გამოყენებას კი არა (თუმცა, არც ეს გახლავთ პატიოსანი საქციელი), ჯერ ნებისმიერი ტყუილ-მართლის შეჩეჩებით ხალხის გაბრაზება-გაღიზიანებას და მერე ამ ადამიანების საკუთარი მიზნებისთვის გამოყენებას აპირებს! ანუ ქალბატონი ანა ქართველი საზოგადოების ერთი ნაწილის, თავისივე მომხრეების ჯერ უგონო ბრბოდ გადაქცევისა და მერე მისი უფსკრულში გადაჩეხვის მოწადინეა. იქნებ მთლად ასეც არ იყოს, მაგრამ მისი ბრიყვული განცხადებიდან მხოლოდ ამ აზრის გამოტანა შეიძლება.

ეტყობა, ქალბატონ დოლიძეს არც სკოლაში და არც თბილისის ჯავახიშვილის უნივერსიტეტში ქართული ენის მასწავლებლებში აშკარად არ გაუმართლა. ევროპულ უნივერსიტეტებში კი, სამწუხაროდ, ქართულ ენას ჯერჯერობით არ ასწავლიან. ბოდიში მომითხოვია და, დოლიძის ამ შედეგრიდან გამომდინარე, ლეიდენის უნივერსიტეტში, სადაც ქართულ-ევროპული იურისპრუდენციის სიამაყე ანამ სადოქტორო დისერტაცია დაიცვა, არც აზროვნებას ასწავლიან.

თუ მოგეჩვენათ, რომ ვაჭარბებ, კიდევ ერთხელ გადახედეთ ქალბატონი ანას ამ შედეგრს: „დღეს იქნება საუბარი იმ გეგმაზე მოკლევადიან პერიოდში, რომლითაც ვაპირებთ, განვახორციელოთ ქართველი ხალხის გაბრაზება“.

ისე, ქალბატონო ანა, იმედია, ამ საარჩევნო აურზაურის შემდეგ დრო გექნებათ, „მოახდინოთ ჩემთან სტუმრობა“, დავჯდეთ და ენის ფილოსოფიაზე, სიტყვის მნიშვნელობაზე, აზრების ზეპირად და წერილობით გადმოცემის „განხორციელებაზე“ ვისაუბროთ. დამიჯერეთ, ეს ძალიან გამოგადგებათ 2062 წლის წინასაარჩევნო კამპანიისას. თუ, რა თქმა უნდა, კოლეგა თეა თუთბერიძის მოწოდების გაზიარებას არ აპირებთ - სიმდერა, ბარიკადებზე დგომა, რუსთაველზე ხინკლისა და ჩაქაფულის მომზადება, მომიტინგეების ლეიბ-საბნებით მომარაგება.

უნდა ვაღიარო, რომ მეც თქვენსავით ძალიან შემაშინა „თბილისი პრაიდის“ დირექტორი, თამარ ჯაყელის მუქარამ: **„ოცნების მხარდამჭერებო, ქუჩაშიც მომერიდეთ, ჩემთვის აღარ არსებობთ“.**

ძალიან ღრმად პატივცემულო ქალბატონო თამარ, ბარემ იქნებ თქვენი მოძრაობის მარშრუტებიც გვითხრათ, თორემ რაც თქვენი მუქარა წავიკითხე, მას შემდეგ გარეთ ცხვირის გაყოფას ვეღარ ვბედავ. მართალია, „ოცნების“ პარტიის წევრი არა ვარ, მაგრამ ეს ჩემი უპარტიობა სიფათზე ხო არ მაწერია – ეშმაკს არ ძინავს, მართლაც სადმე რო გადაგეყარო, მერე თავ-პირდასისხლიანებულმა ჩემს ეჭვიან ცოლს რა ვუთხრა, დეიდა თამრიკომ მცემათქო? და, რაც მთავარია, ნაცოპოზიციის მომჯაყველო ქალბატონო ჯაყელო, ბარემ იქნებ ისიც მითხრათ, თუ თქვენთვის აღარ ვარსებობ, ეს არარსებული არსება ქუჩაში როგორღა უნდა შემოგეყარო?!

ერთი არცთუ საიდუმლო დელიკატური მიზეზის გამო, თამარ კორძაიას ამგვარ განცხადებას არ ველოდი: „ამ ვითარებაში შესაძლებელია არჩევნების ჩატარება ძველი წესით უკეთესი იყოს, სანამ არ გავიგებთ ტექნოლოგიურ პირობებში მანიპულაციების შესაძლებლობის ხარისხს“. ასეთი ბუნდოვანი მიეთ-მოეთი კორძაიას ინტელექტის მქონე ადამიანს არ ეკადრება. თუ არჩევნების ძველი წესით ჩატარება გინდოდათ, ამაზე „მიწოლა“ 2020 წლის არჩევნების დამთავრებისთანავე უნდა დაგეწყოთ. თუ მეხსიერება არ მღალატობს, ახალი, მსოფლიოში ერთხმად აღიარებული საარჩევნო ტექნოლოგიის საქართველოში დანერგვის მომხრე თვითონ ნაცმოძრაობა იყო.

გვარამიასთან, დოლიძესთან ანა წითლიძესთან ამაზე საუბარს არავითარი აზრი არა აქვს, მაგრამ პოლიტიკაში „ოცნების“ ძალისხმევით აღზევებულმა თამარ კორძაიამ ხომ იცის, რომ არჩევნების გაყალბებაზე საუბარი მხოლოდ მას შემდეგ შეიძლება, რაც ამის დამადასტურებელ რაიმე მტკიცებულებას მოიპოვებ. დროშების აფრიალება, „ამომრჩეველთა სასურველი რაოდენობის ხმები ვერ მივიღეთ და ამიტომ არჩევნები გაყალბებულია“, მტკიცებულებად ვერ გამოდგება.

და კიდევ, ოდესღაც თქვენი ამომრჩევლის წრფელი გულისტკივილით - ქალბატონო თამარ, არჩევნებში უპირობო გამარჯვების გარანტია არ არსებობს; იაფფასიანი პოლიტიკური მოსაზრებების გამო საკუთარი თავმოყვარეობის გაწირვა კი არ არის ღირსეული საქციელი. თვით განაცებული ოცნებისტისგანაც კი.

ალბათ, საკმარისია. ქართულ რადიკალურ ოპოზიციაში შექმნილი პანიკური ვითარება იმის დასტურია, რომ ურთიერთობა მასა და მის უცხოელ დამკვირვებელ-მაყურებელს შორის აშკარად დაძაბულია. მეტიც, „მაყურებელს“ მისი ხელებში შემყურე ქართველი „პარტნიორის“ იმედი საბოლოოდ გადაეწურა და საქართველოს ხელისუფლებასთან ურთიერთობების უმტკივნეულოდ დალაგების ოპტიმალურ გზებზე ფიქრობს. ამ თვალსაზრისით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ხვალინდელი საპრეზიდენტო არჩევნებიც უდიდესი მნიშვნელობის პოლიტიკური მოვლენაა. სხვათა შორის, იმის მიუხედავად, რომელი კანდიდატი გაიმარჯვებს – დონალდ ტრამპი თუ კამალა ჰარისი.

ქუჩა არის სახალხო დემოკრატიის ყველაზე ძველი ფორმა და ის საჭიროდ რჩება ყველაზე ჩამოყალიბებულ ფუნდამენტურ დემოკრატიებშიც. ქუჩა არ უდრის ძალადობას. ქუჩა უდრის ხალხის აზრის დომინაციას და დემოკრატიის და სახელმწიფოს ხალხის მიერ დაბრუნებას, როცა ამას გართმევენ. ქუჩა არც რომელიმე თაობის ან ჯგუფის პრივილეგიაა, ის ყველასია...

შესაბამისად, ქართული რადიკალური ოპოზიციის ორშაბათული ოცნებები განწირულია დასაღუპავად.

ვინ იცის, იქნებ ვინმე ინტრიგანმა ამერიკელ „მაყურებელს“ გელადოგაზე მეოცნებე გვარამიას პრინციპულობის დასადასტურებლად, პრეზიდენტ ზურაბიშვილისადმი მიძღვნილი მისი სასიყვარულო ტექსტი წააკითხა: „სტატუსურად ძალადობით არჩეული არალეგიტიმური პრეზიდენტი ხარ ჩემთვის; იდეოლოგიურად, პრორუსი და მოღალატე ხარ ჩემთვის; ადამიანურად, ჩვეულებრივი ნაძირალა და ყ... ქალა ხარ ჩემთვის; ხოდა, ტ...ში გაიკეთე ეგ შენი ლექციები სიტყვის თავისუფლებაზე, მედიაზე და მის სტანდარტებზე და როლზე.“

თეიმურაზ ძორიძე

03. 11. 2024

ღმერთო, დამიფარე მეგობრებისგან!..

ისე ყველაფერი კარგად აგიხდეთ!

„ვინინასწარმეტყველე“, არჩევნები 26 ოქტომბერს არ დასრულდება, მთავარი დღე 27 ოქტომბერი იქნება-მეთქი და ახდა: სწორედ 27 ოქტომბერს გამოაცხადეს ჩვენმა ყოველთვის ჩახმახივით შეყენებულმა ოპოზიციამ და მისმა უგვირგვინო დედოფალმა, არჩევნების შედეგებს არ ვცნობთ, არჩევნები გაყალბდაო.

პრეზიდენტმა, რომლის ავისმთქმელი პირითაც გაცხადდა ოთხი გარიერგადალახული პარტიის, უფრო სწორად, ერთი ოთხკუთხოვანი სიმრუდის პირდაპირ საარაკო ჩამოგანვის ეს სამარცხვინო, უპატიოსნო ხერხი, ამით საგოლოოდ იტვირთა ხელისუფლებასთან გრძოლის მესაჭეობა, რასაც ასე გეჯითად ესწრაფვოდა წლების განმავლობაში.

26 ოქტომბრის არჩევნები შედგა, გარიერს ხუთმა პარტიამ გადააბიჯა. „ქართულ ოცნებას“ ახალარჩეულ პარლამენტში 89 დეპუტატი ეყოლება, ოპოზიციას კი, ოთხ გარიერგადალახულ სუბიექტს – 61 დეპუტატი! ახლა უფრო დაზუსტებით ვთქვათ: „კოალიცია ცვლილებებისთვის“ – 18 დეპუტატი, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ – 17 დეპუტატი, „ძლიერი საქართველო“ – 14 დეპუტატი, „გახარია საქართველოსთვის“ – 12 დეპუტატი.

როგორც ვთქვით, ოპოზიციამ წაგება არ აღიარა და პარლამენტს უნდობლობა გამოუცხადა, პარლამენტის მუშაობაში მონაწილეობას არ მივიღებთ, ჩათვალეთ, სიები არ არსებობსო. იმუქრება, პარლამენტს ლეგიტიმაციას არ მივანიჭებთ, ქვეყანა რომ გადაბრუნდესო. ასეთია გარიერსგადამხტარი, მაგრამ არა გამარჯვებული ოპოზიციური პარტიების პოზიცია.

მაგრამ ასე სულაც არ არის. კონსტიტუციის მიხედვით, პარლამენტი პირველ სხდომაზე უფლებამოსილია მუშაობას შეუდგეს, თუ სხდომას ესწრება პარლამენტის სრული შემადგენლობის უმრავლესობა, ანუ 76 კაცი, ხოლო პარლამენტი სრულ უფლებამოსილებას იძენს წევრთა 2/3-ის უფლებამოსილების ცნობის მომენტიდან, ანუ 76 დეპუტატმა უნდა ცნოს ასი დეპუტატის უფლებამოსილება, მნიშვნელობა არა აქვს, ვინმეს სურს თუ არა, ცნონ მისი უფელებამოსილება. ამ კანონს საფუძვლად უდევს მარტივი პრინციპი: უმცირესობა ვერ გადაუწყვეტს უმრავლესობას, იფუნქციონიროს თუ არა.

რაც შეეხება სიების ჩახსნას, ამის გაკეთება ოპოზიციას შეეძლო არჩევნებამდე, ან შეუძლია პარლამენტის უფლებამოსილების ცნობის შემდეგ, ოღონდ სიის მხოლოდ იმ წევრების ჩახსნა, რომლებიც პარლამენტში ვერ მოხვდნენ და არა უკვე დეპუტატებისა.

ახლა მთავარია, რას იქმს ოპოზიციის გენერალ-ფელდმარშალი სალომე ხოხორო, რომლის პრეროგატივაცაა ახალარჩეული პარლამენტის პირველი სხდომის დანიშვნა არჩევნების შედეგების გამოცხადებიდან არაუგვიანეს მე-10 დღისა. რა თქმა უნდა, მოსალოდნელია პრეზიდენტმა აქაც ფეხებზე დაიკიდოს თავისი კონსტიტუციური ვალდებულება. იგი ხომ დიდი ხანია ფაქტობრივად კონსტიტუციის ფარგლებიდან არის გასული.

საერთოდ, ოპოზიციის გმირული ჩანაფიქრი – დამარცხება გამარჯვებად აქციოს, რა თქმა უნდა, თავიდანვე წარუმატებლობისთვისაა განწირული. იგი არ ეფუძნებოდა ვითარების ანალიზს, გათვლას, როდესაც არაღიარება და დაუმორჩილებლობა გამოაცხადა, ოპოზიცია და გონიერებით არცთუ გამორჩეული მისი ლიდერი უთუოდ ფიქრობდნენ, რომ მათი უგუნური განცხადება ბომბის აფეთქების ეფექტს იქონიებდა: ქუჩები უმალ გადაიჭედებოდა და ხალხი ნაჯახს წაავლებდა ხელს.

მანამდე არ გეტკინოთ არაფერი!

ხალხით რუსთაველი და პარლამენტის მოედანი მაშინაც არ გაჭედილა, როცა მეორე დღეს, 27 ოქტომბერს ოპოზიციამ პირველ საპროტესტო აქციაზე ქუდზე კაცს უხმო. იმ მეჩხერმა აქციამ ყველა დაგვარწმუნა, რომ ეს ოპოზიციის მხარდამჭერი, არჩევნებში დამარცხებული ხალხი, სულაც არ არის განწყობილი სარევოლუციოდ და ქენქერა პრეზიდენტის დაკრულზე საცეკვაოდ.

ოპოზიციაც მიხვდა (ალბათ, უნდა მიმხვდარიყო), თვალნათლივ დარწმუნდა (ალბათ, უნდა დრწმუნებულიყო!), რომ სავსე ქუჩაზე დაყრდნობით ბრძოლის დრო წავიდა და მთელი იმედები კვლავ დასავლელ პარტნიორებზე გადააწყო. ჩვენ მოწმენი ვიყავით, როგორ მიმდინრეობდა ეს პროცესი. როცა ცესკომ არჩევნების წინასწარი შედეგები გამოაცხადა, მთელი 24 საათი დუმილი ჩამოვარდა. აშკარა იყო, რომ დასავლეთი, რომელიც ასეთ შედეგებს არ ელოდა, ცაიტნოტში ჩავარდა. როდესაც პრეზიდენტმა პირველ **SOS**! შეკრებაზე გამოაცხადა, არჩევნები გაყალბდა, ხმები მოგვპარეს, ჩვენ არ ვენდობით ცესკოს შედეგებსო, აშკარა გახდა, რომ მას უკვე მიღებული ჰქონდა პირველი სახელდახელო ინსტრუქციები.

ახლა უკვე არა სახელდახელო, არამედ ქვეყნის დამანგრეველი გეგმები, რჩევები, დათქმები მოდის უცხოელი პარტნიორებისგან: მერე რა, რომ არჩევნების უცხოური სადამკვირვებლო მისიების დასკვნები დადებითია, ხმების პარალელური დათვლისა და ცესკოს მიერ გამოცხადებული შედეგები ერთმანეთს ემთხვევა, მერე რა, რომ ეუთო/ოდირის პირველივე დასკვნით არჩევნები შედგა და არჩევნები იყო კონკურენტული. ეუთო/ოდირი ხომ არც ნიკა გვარამიასა და მისი ამფსონებისთვის მიბლია არ არის, როგორც ჩანს, არც უცხოელი გამყალბებლებისთვის, რადგან ეს „მტკიცე“ ეუთო/ოდირი დღეს სხვას ლაპარაკობს და დაასკვნის!..

ჰოდა, უკვე გამოცხადდა, რომ საქართველოს პროკურატურა გამოიძიებს 26 ოქტომბრის არჩევნებზე გამოვლენილ დარღვევებს. მაგრამ ეს თურმე (რა თქმა უნდა!), მიუღებელია ჩვენი უცხოელი „კეთილისმყოფელებისთვის“. აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის პრესსპიკერი მეთიუ მილერი აცხადებს, რომ არ ენდობიან საქართველოს ხელისუფლების მიერ ჩატარებულ გამოძიებას: „კონსულტაციებს გავდივართ ევროკელ პარტნიორებთან, თუ რომელი ორგანო იქნება შესაფერისი“.

„ღმერთო, მიხსენი მეგობრებისგან, მტერს მე თვითონ გავუმკლავდები!“

ალბათ, ესეც უმაგრებდა ზურგს პრეზიდენტ ზურაბიშვილს, როცა იგი არ გამოცხადდა პროკურტურაში შეკითხვებზე პასუხის გასაცემად, სადაც დაბარებული იყო 31 ოქტომბერს. ცესკოს განცხადებისა და საჯარო სივრცეში მასმედიის საშუალებით გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, პრეზიდენტი ზურაბიშვილი უნდა ფლობდეს მტკიცებულებებს საპარლამენტო არჩევნების შესაძლო გაყალბებასთან დაკავშირებით, რის გამოც იგი კანონით დადგენილი წესით დაიბარეს საგამოძიებო უწყებაში. სალომე ზურაბიშვილის „გმირობას“ უმალ „სრული სოლიდარობა“ გამოუცხადა პატიმარმა მიხეილ სააკაშვილმა. მომეწონა, რომ ის არ წამოეგო პროვოკაციას და არ დათანხმდა რუსული პროკურატურის მოთხოვნასო. მაგრამ ყველა ასე როდი აფასებს ამ ქალბატონის ქცევას.

„...ეს პოსტი არ ეხება ვერ გაქართველებულ სალომე ზურაბიშვილს, რომელიც უცხოელად დაიმარხება, როცა ამის დრო მოუვაო,“ – დაასკვნის თეა წულუკიანი.

საქართველოში თავისუფალ და სამართლიან არჩევნებს იპარავენ, ამ ყველაფრის უკან რუსული იმპერიალიზმი დგასო, აცხადებს გერმანიის ბუნდესტაგის საგარეო საქმეთა კომიტეტის თავმჯდომარე მახაი როთი. ეს რამდენი გულმხურვალე მეგობარი და მხარდამჭერი გვყავს, ძმებო, მათ შორის როთზე უსაშველოდ უფრო ტიტულიანი და უამრავ არამკითხესგან განსხვავებით მართლამკითხე?! მათი იმედით უეჭველად მოიძებნება გიორგი გახარიასთვის, ნიკა გვარამიასთვის, ლევან ხაბეიშვილისთვის, ელენე ხოშტარიასთვის, გია, გირჩი, სოფო, ბადრი ჯაფარიძეებისთვის (ეს ჯაფარიძეები მაინც რა მასობრივად უღმერთოდ დაჩაგრეს!), ანა წითლიძისთვის, მამუკა ხაზარაძისთვის და კიდევ ვინ იცის რამდენი ძვირფასი და ხელიხელსაგოგმანები მამულიშვილისთვის ყოვლად უსინდისოდ, ყაჩაღურად წართმეული არჩევნები. მოიძებნება, დაუბრუნდებათ!.. არ გაახარებენ მტერსა ჩვენზედა, მააშ!..

საოლქო საარჩევნო კომისიებში საპარლამენტო არჩევნებთან დაკავშირებით საჩივრების შეტანა 31 ოქტომბერს დასრულდა. სულ შეტანილია 652 საჩივარი. აქედან 7 საჩივარი ეხება გაფერადების შემდგომ ბიულეტენის მეორე მხარეს შესაბამისი მონიშვნის არსებობას, ანუ კენჭისყრის აღნიშნული საკითხი არ იყო იდენტიფიცირებული. რაც შეეხება სხვა საჩივრებს: გადათვლასთან დაკავშირებით შეტანილია 544 საჩივარი; დისციპლინური პასუხისმგებლობის დაკისრების მოთხოვნით – 428; მოთხოვნის გარეშე – 47; ქმედების განხორციელების თაობაზე – 151...

უბედურება ის არის, რომ ამ საჩივრებს ჯერჯერობით მხოლოდ ემოცია და ზეპირსიტყვიერება უდევს საფუძვლად და არა ნივთმტკიცება. მაგალითად, „სამართლიანი არჩევნები“, რომელსაც ასობით დამკვირვებელი ჰყავს, აცხადებს, რომ 2024 წლის საპარლამენტო არჩევნების წინასაარჩევნო პერიოდში და არჩევნების დღეს გამოვლენილი ფუნდამენტური ხასიათის დარღვევების ერთიანობამ გავლენა მოახდინა ამომრჩევლის თავისუფალი ნების გამოვლენაზე და შესაბამისად არჩევნების შედეგები ვერ განიხილება, როგორც საქართველოს ამომრჩეველთა ნების გამოხატულება.

როგორია?!

საქართველოს პროკურატურაში გამოძიება უკვე მიმდინარეობს არჩევნებთან დაკავშირებით 47 სისხლის სამართლის საქმეზე.

სამმა გამარჯვებულმა პარტიამ („ძლიერი საქართველო“, „კოალიცია ცვლილებებისთვის“, „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“) ახალი ვერაფერი მოიფიქრა და ისევ საპროტესტო აქცია დააანონა რუსთაველზე 4 ნოემბერს. მიზანი – „შედეგზე ორიენტირებული გააზრებული აქციები გამარჯვების დასაბრუნებლად“ ანუ ისევ ღრიანცელების ჩანჩქერები ყელში ამოსვლამდე!

ამრიგად, შიგნიდან აქციები, გარედან – საყოველთაო მოწოლა! ამით აპირებენ, ალბათ, ხელახალი არჩევნების მიღწევას. ოღონდ, ერთი არსებითი სიახლე საზოგადოებამ უთუოდ შენიშნა: გარიერგადალახული პარტია, რომელსაც „გამარჯვება მოჰპარეს, არჩევნები გაუყალბეს და ახლა წართმეულის დაბრუნებას ითხოვს, უკვე სამია და არა-ოთხი. სად არის მეოთხე – „გახარია საქართველოსთვის“, გუშინ რომ სხვა ამ სამის მსგავსად ისიც მუშტს იბრაგუნებდა მკერდზე? ნუთუ გამოეყო სხვა მყვირალებს და სამართლიანი ბრძოლის ტაქტიკა მოიფიქრა? ეს გამოყოფა ხომ არ გვაფიქრებინებს, რომ „გამარჯვებული სამეულის“ პიტალო არსში კიდევ შეიძლება მოხდეს რაიმე ცვლილება, მაგალითად, სამეული ორეულამდე ჩამოკრისტალდეს, აი, იმ დონეზე, „რაც კარგები ვართ, სულ ნაცები ვართო“ და ამრიგად, არასუფთა სისხლის ნაცმა ხაზარაძემაც მოინდომოს ბრძოლის დამოუკიდებლად წარმართვა, ოღონდ, პარლამენტის კედლებში. მით უფრო, რომ მისი რკინის ორი შენამატი ელისაშვილი და დოლიძე ნაცობაზე გვიან არიან აცრილი. რა იცი, ეშმაკს არ სძინვს! და, საერთოდაც, სჩვევიათ, ბეცად, ანუ წაღმა-უკუღმა ყურება!

მაშ ასე: დღეიდან წინაარმდეგობის ახალი ტალღა იწყება, ქუჩის აქციები, რაც შემოდგომა-ზამთრის სეზონზე მაინცდამაინც არ ეხალისებათ ქართველებს. გაზაფხულ-ზაფხულში – იცოცხლეთ! უკეთესი ვერაფერი მოიფიქრეს, ან ვისგან ელოდებით მოფიქრებას? ჭიჭე ვაშაძისგან, ნაცისგან, რომელმაც ასეთ სტრესულ მდგომარეობაში კი არა, მისი მოგონებული და მოფიქრებული, წლებია არაფერი გვინახავს, უცხოელი კონსულტანტები თუ გადმოუგდებენ რაიმეს, ეგ არის და ეგ. არადა, აშკარად იკვეთება ოპოზიციის წივილ-კივილიანი ხმები – არჩევნები გაგვიყალბეს, ხმები მოგვპარესო, დამამტკიცებელი კი არაფერი ჩანს. ან მათ ვინ რას მოპარავს, თვითონ პარავენ სხვას, თუ რამ მოსაპარი ნახეს.

სიაში მიღებული ხმების რაოდენობით „გირჩი“ (3%) და „პატრიოტთა ალიანსი“ (2.44%) მოდიან. „გირჩს“ არ უკადრია ეყვირა, გაგვძარცვესო, პატიოსნად თქვა, ჩვენ არ მოგვიგია, ჩვენ წავაგეთო. მათ უკან მთელი ნახევარი პროცენტით მოჩანჩალე „პატრიოტთა ალიანსმა“ კი უმალ ჰკრა ბუკსა და ნაღარას, უსინდისოდ გაგვძარცვესო, არადა, ვფიქრობ, მისთვის არაფერი მოუპარავთ, რაც დაემართათ, მათი ბრალია, უნიათო, უფრო თვითრეკლამის სტილში წარმართული წინასაარჩევნო მუშაობის შედეგია. მოპარეს კი არა, საკითხავი ის არის, „ალტ-ინფო“ რომ ჰყავდა შეამხანაგებული, იმან რამდენი ხმა შემატა ალიანსს? ლეიბორისტების მათხოვრულ 0,7%-ზე მეტი ხომ მაინც იქნებოდა? ჰოდა, 2,44%-ს გამოაკელი თუნდაც 0,7% და მიიღებ 1,74%-ს, რაიც საწყენია ერთობ. მათგან მეტს ველოდით, უფრო სწორად, მათთვის მეტი გვინდოდა, მეტი გვემეტებოდა.

ახლა იმის დროა, ყველამ თავის მონაგარს შეხედოს კრიტიკული თვალით, თორემ იყვირე რამდენიც გინდა, დაგიბრუნებენ „დაკარგულს“, ხელახალ არჩევნებს დაგინიშნავენ? მერე და, გჯერა, რომ იმ ხელახალში გაიმარჯვებ?



მეტი არაა ჩემი მტერი!

იმ ხელახალში უარესად რომ წააგებ, მერე რას იზამ, ბაწარში გაუყრი თავს?

ალეკო ასლანიშვილი

არჩევნები განმეორებით რომ დაინიშნოს, ოპოზიცია უარესად დამარცხდება და თავი ბაწარში ენება გასაყრელი!..

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მნიშვნელოვანი გამოცემა

საქართველოს მეცნიერებათა ეროვნული აკადემიის მიერ ახლახანს გამოიცა საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის პროფესორების, აკადემიის წევრ-კორესპონდენტ ალექსანდრე დიდებულიძისა და აკადემიკოს თინათინ სადუნიშვილის საინტერესო მონოგრაფია: „აგროგენეტიკური მეცნიერებისა და ტექნოლოგიების კომერციალიზაცია. საქართველოს პერსპექტივები“, რომელშიც მეცნიერულ დონეზე და ამავე დროს მკითხველისთვის გასაგები ენით განხილულია ჩვენი ქვეყნისთვის ეს ფრიად აქტუალური საკითხი.

21-ე საუკუნეში თანამედროვე ბიოტექნოლოგიები, აგროდრონები, რობოტიზაცია, ხელოვნური ინტელექტი, გეოსაინფორმაციო სისტემები და ციფრული ტექნოლოგიები სწრაფად ვრცელდება სოფლის მეურნეობის სფეროში და რადიკალურად ცვლის დარგის ათწლეულების განმავლობაში ჩამოყალიბებულ



ლანდშაფტს. ბიოტექნოლოგიები, მათ შორის აგრობიოლოგიური ტექნოლოგიები, ქვეყნის სოფლის მეურნეობის მდგრადი განვითარების ერთ-ერთი გარანტიაა, რადგან ისინი ემსახურება პროდუქციის წარმოების გაზრდას სასოფლო-სამეურნეო მიწების გაფართოების გარეშე, ზუსტი სოფლის მეურნეობის განვითარებას შემცირებული რესურსების (წყალი და სასუქები) გამოყენებით და გარემოზე მავნე ზემოქმედების მინიმიზაციით, კლიმატის ცვლილებასთან ადაპირებულ წარმოებას.

წიგნის დასაწყისში წარმოდგენილია მოლეკულური ბიოინჟინერიის პრინციპები და მოკლედაა განხილული ის თანამედროვე მეთოდები, რომლებიც გამოიყენება თანამედროვე აგრობიოტექნოლოგიებში. შემდეგ თავში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აგრობიოტექნოლოგიური მეცნიერების განვითარებას საქართველოში, წარმოდგენილია ქვეყნის უნივერსიტეტებსა და კვლევით ინსტიტუტებში შესრულებული მნიშვნელოვანი სამუშაოები და დაპატენტებული ტექნოლოგიები.

როგორც წიგნშია აღნიშნული, თანამედროვე ბიოტექნოლოგია მრავალი განვითარებული ქვეყნის ეროვნული ეკონომიკის პრიორიტეტს წარმოადგენს და გასაღების ბაზრებზე ბიოტექნოლოგიური პროდუქციის კონკურენტუნარიანობის გაზრდა მათი სტრატეგიის ძირითადი მიმართულებაა.

საქართველოს აგრარული პროდუქციის ნეტო-ექსპორტერად ტრანსფორმაციის გზაზე აქტუალურ პრობლემას წარმოადგენს სამეცნიერო კვლევების შედეგების გავრცელებისა და კომერციალიზაციის დაბალი დონე. არადა, სწორმა კომერციალიზაციამ ამ კვლევების განმახორციელებელს დიდი მოგება შეიძლება მოუტანოს, აამაღლოს ქვეყნის ინოვაციურობის დონე. აქ მასტიმულირებელ ფაქტორად მიიჩნევა სპეციალური სამთავრობო პროგრამები, რომელთა მიზანია ბიოტექნოლოგიის ახალი მიმართულებების დაჩქარებული განვითარება.

ნაშრომში განხილულია კომერციალიზაციის ის პრობლემები, რომლებიც წარმოიქმნება ბიოტექნოლოგიური კვლევების ლაბორატორიიდან ბაზარზე გატანის რთულ გზაზე. გამოკვლეულია ბიოტექნოლოგიის სფეროში ინტელექტუალური საკუთრების დაცვის საკითხები. სათანადო ადგილი ეთმობა გამოყენებით ბიომეცნიერებებში ინტელექტუალური საკუთრების უფლებების დაცვის საერთაშორისო ინსტრუმენტებს, მ.შ. საერთაშორისო ორგანიზაციებსა და ხელშეკრულებებს, ცალკე თავი ეძღვნება ტექნოლოგიების ტრანსფერის სისტემას, კომერციალიზაციის ეტაპებსა და სტრატეგიებს, გაანალიზებულია მსოფლიო გამოცდილება აგრობიოტექნოლოგიების კომერციალიზაციის საკითხებზე, მსოფლიო ბაზრებისა და ბიზნესის პრაქტიკის ტრანსფორმაცია, სოფლის მეურნეობის სექტორის მარეგულირებელი დოკუმენტების ევოლუცია და ამ ფონზე განხილულია საქართველოს საინოვაციო პოლიტიკა.

წიგნში ცალკე თავები დაეთმო ისეთ მნიშვნელოვან საკითხებსაც, როგორიცაა ბიოუსაფრთხოება და ბიოტერორიზმი და ბიოლოგიური საფრთხის შემცირების საერთაშორისო პროგრამა, რომლის ფარგლებში მრავალი მნიშვნელოვანი პროექტი განხორციელდა საქართველოს კვლევით ინსტიტუტებსა და უნივერსიტეტებში. სპეციალური თავი ეძღვნება აგრობიოლოგიური მეცნიერების ეთიკას.

მონოგრაფიაში თითოეული თემა სიღრმისეულად არის მოცემული, განსახილველი საკითხების მიმართ დაფიქსირებულია საკუთარი პოზიცია, დისკუსიის აუცილებლობა და მოსალოდნელი რისკები, რასაც ხელს უწყობს ავტორების მაღალი თეორიული და პრაქტიკული ცოდნა. დარწმუნებული ვარ, რომ ეს საინტერესო და სასარგებლო წიგნი გამოიწვევს ჩვენი საზოგადოების ინტერესს.

პროფესორი,
თეო ურუშაძე,
სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა დოქტორი, საქართველოს აგრარული უნივერსიტეტის აგრონომიისა და ლანდშაფტის მენეჯმენტის სკოლის დეკანი.

ქალბატონო პრეზიდენტო!

საქართველო თქვენი გასალანძღი და დასამცირებელი არ არის!

გაყალბდა, არ გაყალბდა!.. ეს შეძახილები არჩევნებს ხშირად თან ახლავს და ამაში გასაკვირი არაფერია. გასაკვირი ის არის, რომ დემოკრატიული, დამოუკიდებელი ქვეყნის პრეზიდენტი ქალბატონი სალომე ზურაბიშვილი ყოველგვარი მტკიცებულების გარეშე გამოდის და მთელ მსოფლიოს ამცნობს, რომ საქართველოში მმართველმა პარტიამ „ქართულმა ოცნებამ“ საპარლამენტო არჩევნები ქვეყნის მასშტაბით გააყალბა, ოპოზიციას მილიონამდე ამომრჩევლის ხმა მოპარა და მერე... საკუთარი მომხრეები საპროტესტო აქციაზე იხმო, ისე რომ, ცენტრალური საარჩევნო კომისიის საბოლოო მონაცემებსაც არ დაელოდა!!!

სინამდვილეში, მმართველმა პარტიამ ოპოზიციური ოთხი პარტია (როგორც ცალ-ცალკე, ისე ჯამურად) დიდი ანგარიშით დაამარცხა: „ოცნებამ“ 54% ამომრჩევლის ხმა მიიღო, ხოლო მეორე ადგილზე გასულმა ოპოზიცურმა პარტიამ, მხოლოდ 11%. სხვაობა 42%-ია, რაც დაახლოებით რვაასი ათასი ამომრჩევლის ხმაა.

ოპოზიციური ოთხი პარტიის საერთო მონაცემები სულ 37 პროცენტია! მაშასადამე, სხვაობამ შეადგინა დაახლოებით სამასი ათასი ხმა მმართველი პარტიის სასარგებლოდ.

ამ ზომის არითმეტიკული სხვაობა (ასიათასობით!), იმდენად თვალშისაცემია, რომ ჩვენს დროში რომელ ნორმალურ ადამიანს შეიძლება მოუვიდეს აზრად – არჩევნები თურმე „ოცნებამ“ გააყალბა!!!

ეს ხომ ყოველგვარ ფანტაზიას სცილდება. ვინმეს ამის გაკეთება მართლაც რომ უნდოდეს, ვირტუალურადაც ვერ შეძლებს, თუნდაც იმიტომ, რომ არჩევნებს აკვირდებოდა ეუთო/ოდირის კომისია და ასეულობით სხვა უცხოელი პროფესიონალი დამკვირებელი. ხოლო რაც შეეხება იმ აბსურდს, რომ გაიძახიან არჩევნები ოპოზიციამ მოიგოო, ეს იმას ჰგავს, როცა მოკრივე ბრძოლის დროს ნოკაუტში ჩავარდება, მერე გამოფხიზლდება და ხელების ქნევას და ყვირილს იწყებს, მე გავიმარჯვეო.

ამ სევდიან ისტორიაში ყველაზე მეტად ის არის საწყენი, რომ ქვეყნის პრეზიდენტმა და მისმა მომხრეებმა თავიანთი ყოვლად აბსურდული ბრალდებებით („არჩევნები გაყალბდა“!) მარტო საქვეყნოდ თავი კი არ შეირცხვინეს, არამედ საქართველოც შეურაცხყვეს, გალანძღეს, დაამცირეს, რასაც ჩვენი ქვეყანა ნამდვილად არ იმსახურებს.

ბონდო ძოგულია,
მედიცინის დოქტორი, პროფესორი.

საქართველოდან უცხო ქვეყნის 60 მოქალაქე გააძევეს!

შინაგან საქმეთა სამინისტროს მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა „უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე, გასულ თვეში სხვადასხვა ქვეყნის 60 მოქალაქე ქვეყნიდან გააძევეს, – აღნიშნულია სამინისტროს მიერ გავრცელებულ ინფორმაციაში.

უცხო ქვეყნის მოქალაქეთა ნაწილმა საქართველო ნებაყოფლობით დატოვა, ნაწილი კი მიგრაციის დეპარტამენტის თანამშრომლების მიერ ჩატარებული ღონისძიებების შედეგად იძულების წესით ქვეყნიდან გააძევეს.

„უცხოელთა და მოქალაქეობის არმქონე პირთა სამართლებრივი მდგომარეობის შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე ქვეყნიდან გაძევებულ იქნა: თურქეთის, აზერბაიჯანის, ირანის, რუსეთის, ინდოეთის, თურქმენეთის, ბანგლადეშის, ლიბანის, ერაყის, ნიგერიის, იორდანიის, ალჟირის, ეგვიპტის და განას 60 მოქალაქე. გაძევებულთა შორის ასევე არიან პირები, რომლებიც საქართველოს ტერიტორიაზე ჩართული იყვნენ სხვადასხვა სახის ანტისაზოგადოებრივ საქმიანობაში.

აღსანიშნავია, რომ მიგრაციის დეპარტამენტსა და სამინისტროს შესაბამის დანაყოფებს შორის აქტიური კოორდინაციის შედეგად, 2024 წლის ოქტომბრის მონაცემებით, ქვეყნიდან გაძევების გადაწყვეტილება მიღებულ იქნა 384 უცხო ქვეყნის მოქალაქის მიმართ, რაც 26%-ით მეტია წინა წლის მაჩვენებელთან შედარებით. გაზრდილია იმ პირთა მაჩვენებელიც, რომლებმაც გაძევების პროცედურის ფარგლებში ქვეყანა ნებაყოფლობით დატოვეს. კერძოდ, საქართველო დატოვა 323 პირმა, რაც 60,7 %-ით აღემატება წინა წლის მონაცემებს.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარე ლევან მგალობლიშვილმა, აფხაზეთის მთავრობის წევრებთან ერთად, სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის რექტორთან და პროფესორ-მასწავლებლებთან შეხვედრა გამართა.

შეხვედრა მისასალმებელი სიტყვით უნივერსიტეტის რექტორმა **ზურაბ ხონელიძემ** გახსნა. პროფესორ-მასწავლებლებს მიმართეს აფხაზეთის მთავრობის თავმჯდომარემ და განათლებისა და კულტურის მინისტრმა.

ლევან მგალობლიშვილმა სამშვიდობო პოლიტიკის განხორციელებაში განათლების როლზე და პროცესში ახალგაზრდების აქტიური ჩართულობის ხელშეწყობაზე ისაუბრა.

ყურადღება გამახვილდა ქართულ-აფხაზური ურთიერთობების გაღრმავებისა და განვითარების საკითხში სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის მრავალწლიან და ნაყოფიერ საქმიანობაზე.

„მნიშვნელოვანია საქმიანობა, რომელსაც თქვენ წლების განმავლობაში ახორციელებთ და უდიდესი წვლილი შეგაქვთ ახალგაზრდებისა და ზოგადად მომავალი თაობების აღზრდისა და განვითარების საქმეში. განსაკუთრებულად დასაფასებელია, რომ უნივერსიტეტი ერთგვარი დამაკავშირებელი რგოლია ქართველ და აფხაზ ხალხს შორის და გარკვეულ როლს თამაშობს გაუცხოების აღმოფხვრის, ჩვენი თანაცხოვრების საერთო ისტორიის აღდგენის და ერთობლივი ტრადიციების შენარჩუნების პროცესში.

სწორედ თქვენს მიერ არჩეული სწავლების მეთოდი, მისია და კურსი განაპირობებს იმას, რომ სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტში სწავლა პრიორიტეტულია ოკუპირებული ტერიტორიებიდან გადმოსული ჩვენი ახალგაზრდებისთვის, რაზეც ბოლო წლების განმავლობაში არსებული სტატისტიკური მონაცემები მეტყველებს“, – განაცხადა ლევან მგალობლიშვილმა.

აფხაზეთის ავტონომიური რესპუბლიკის თავმჯდომარემ აკადემიური წრის წარმომადგენლებს მრავალწლიანი და ნაყოფიერი საქმიანობისთვის მადლობა გადაუხადა.

მოსყიდულებიც და სულელებიც!

სააკაშვილი დამთავრებულია, მაგრამ გვარამიამ, მელიამ, ვაშაძემ ხომ იციან საზოგადოებრივი განწყობები?!

– ხალხს კარვები არ აინტერესებს!

„უცხოეთის რეაქციის იმედად ყოფნა არაა საკმარისი, ყველაფერი უნდა გადაწყდეს საქართველოს ქუჩებში“, – განკარგულება გასცა სააკაშვილმა და ნიკა გვარამიამაც არ დააყოვნა. გვარამიამ ფეისბუქის მეშვეობით საშუალო და დიდი კარვების მიწოდება მოითხოვა და ქუჩაში პროტესტის გადატანა დააანონსა.

„არაფრის დამალვას არ ვაპირებ, ღიად ვიზამ ამიერიდან ყველაფერს, სუსიც ფეხებზე მკიდია, პროკურატურაც, პოლიციაც და რაუდენიც... ვისაც საშუალო და დიდი კარვები გაქვთ, შეგვეხმიანეთ. თუ გვაჩუქებთ, გაგვიხარდება, თუ მოგვყიდით, მაინც გაგვიხარდება, რაოდენობა შეუზღუდავია“, – აცხადებს ნიკა გვარამია და იმუქრება, რომ კვირებში უნდა მორჩეს ეს ხელისუფლება, პარლამენტი ვერ უნდა შედგეს, ვერ უნდა შევიდნენ იმ შენობაში და შევარდნაძისდროინდელი სასამართლოს მსგავსად, უნდა გააუქმონ არჩევნების შედეგები.

ოპოზიცია არ მალავს, რომ „აპირებს, განახორციელოს ქართველი ხალხის გაბრაზება“, თუმცა რატომ სჭირდება ხალხს ხელოვნური გაბრაზების გამოწვევა და რატომ არ არის ხალხი იმთავითვე გაბრაზებული, ამას ოპოზიცია არ უფიქრდება.

მხოლოდ გახარიას თანაპარტიელ ნათია მეზვრიშვილს ეპარება ეჭვი, შევა კი ამომრჩეველი იმ კარვებში?! „არა მგონია, ჩვენი ამომრჩეველი კარვებში შევიდეს, მაგრამ თუ მხარდამჭერები გადაწყვეტენ, რომ აქციებზე უნდა ვიყოთ, მათ დაკვეთას შევასრულებთ“, – ამბობს ნათია მეზვრიშვილი.

მწვავე პროტესტზე საუბრობს გიორგი ვაშაძეც და საზოგადოებას ორშაბათს აქციაზე ეპატიჟება.

ნიკა გვარამიას შეძახილმა ეიფორიაში ჩააგდო მრავალი პროტესტის მნახველი ბაჩუკი ქარდავაც. „მოქმედების დროა! დასამხობი უკვე დამხობილია, უბრალოდ, საზოგადოება ალტერნატივას ელოდება“, – აცხადებს ქარდავა.

გვარამიას ინიციატივას კითხვის ნიშნის ქვეშ აყენებს იაგო ხვიჩია: „როგორ შეიძლება, სახალხო პროტესტი ჩაკლა კარვებში, მოსყიდულები არიან თუ სულელები“?! იაგო ხვიჩიას აზრით, სწორი მოთხოვნაა ჩამოსაყალიბებელი და მერე ამ მოთხოვნით არის ხალხი ქუჩაში გამოსაყვანი.

„ოპოზიცია რამეს თუ აპირებს საერთოდ, სხვა რამეა გასაკეთებელი და არა კარვების დადგმა რუსთაველზე, ან ლეიბების გაფენა. პირველ რიგში, ბევრი ადამიანისთვის, საერთაშორისო პარტნიორებისთვის სათქმელი და დასამტკიცებელია, რომ არჩევნების ფარულობა დაირღვა“, – ამბობს იაგო ხვიჩია.

არის თუ არა ამომრჩეველი მზად, კარვებში შევიდეს და რამდენად უსაფრთხოა ოპოზიციის მხრიდან შეთავაზებული კარვები იმის გათვალისწინებით, რომ ოპოზიცია მუხტის აწევას ნებისმიერი ხერხით შეეცდება, თუნდაც ეს ადამიანის სიცოცხლის ფასად დაუჯდეს?!

ანალიტიკოსი გია აბაშიძე For.ge-სთან საუბრისას აცხადებს, რომ კარვებში ხალხის შესაყვანი მუხტი არ არსებობს. ასე რომ იყოს, პოლიტიკანების მოწოდებების მიუხედავად, ე.წ. მიტაცებული არჩევნების გამო გაბრაზებული ხალხი აქამდეც იქნებოდა პარლამენტთან, ცესკოსთან თუ ნებისმიერ სხვა ადმინისტრაციულ შენობასთან. იქიდან გამომდინარე, რომ ვერ ვხედავთ ამ პროტესტს, ცხადია, ამ პროტესტის ხელოვნურად შექმნას შეეცდებიან.

„კარვების გაშლა, პროტესტის სხვადასხვა ფორმის გამოყენება სიტყვისა და გამოხატვის თავისუფლებაში ჯდება, მაგრამ აქ საკითხავია, იმ კარავში იქნებიან პროტესტის გამომხატველი ადამიანები?! ცხადია, ვერ იქნებიან. არ სჭირდება ამას ტელემოწოდებები, მე ძალიან კარგად მახსოვს, როცა გაბრაზებული ხალხი გარეთ გამოვიდა 2003 წლის არჩენებში დიდი მანიპულაციების შემდეგ. ამას არ სჭირდებოდა არანაირი პოლიტიკოსების მოწოდებები. გასაგებია, რომ ახლაც ქუჩისკენ მოუწოდებს ხალხს სააკაშვილი, რადგან მისი საქმე დამთავრებულია, მაგრამ გვარამიამ, მელიამ, ვაშაძემ ხომ კარგად იციან საზოგადოებრივი განწყობები?! ყველაზე მარტივად, სამარშრუტო ტაქსში, ავტობუსში ხომ არ განიხილავენ არჩევნების ე.წ. გაყალბების თემას ადამიანები?! ტრანსპორტში ნებისმიერი ადამიანი განიხილავს საკუთარ პრობლემებს. ოპოზიციის ტოტალური პრობლემა კი ის არის, რომ ისინი ვერ ამჩნევენ ხალხის პრობლემებს. გასაგებია, აგენტოკრატიამ დაკვეთა მისცა ჩვენს ოპოზიციონერებს, მოაწყონ გარკვეული პროტესტი, მაგრამ პროტესტს ხალხი სჭირდება. ამ დროს სად არის ხალხი? სად არის საზოგადოება? საზოგადოებას ეს არ აინტერესებს“, – აცხადებს გია აბაშიძე.

ანალიტიკოსი მოელის, რომ ოპოზიციონერები კარვებში დაპატიჟებენ ე.წ. ენჯოებს, რომლებიც ხან დამკვირვებლებად გვევლინებიან, ხან ნაცმოძრაობასთან აფილირებულ პარტიულ ორგანიზაციებად, ქუჩის აქციებისთვის გამოიყენებენ ყველა რესურსს, მაგრამ გლობალური პოლიტიკა 5 ნოემბერს ძალიან შეიცვლება. არა აქვს მნიშვნელობა, დონალდ ტრამპს აირჩევენ თუ არ აირჩევენ, ამერიკაში რომ დიდი დაპირისპირება იქნება, რომელიც გლობალურ პოლიტიკაზეც აისახება, ეს ფაქტია.

„საქართველოში საპროტესტო აქციებისთვის სცალიათ ჩვენი რადიკალების სპონსორებს? რა თქმა უნდა, არ სცალიათ, მაგრამ ბოლო გაფართხალება აქვთ, რომლის ფინალი ისედაც ვიცით – ოპოზიციის აბსოლუტური ლუზერობა“, – მიიჩნევს გია აბაშიძე.

ანალიტიკოს ნიკა ჩიტაძის აზრით, ქუჩის აქციები პროტესტის გამოხატვის ერთ-ერთი და არა ერთადერთი მეთოდია. ბრძოლა საჭიროა და ჩვენმა დასავლელმა პარტნიორებმაც უნდა დაინახონ, რომ საზოგადოება არ ეგუება გაყალბებას. თუმცა, ცხადია, ეს არ იქნება ხელისუფლების ახლავე შეცვლის გარანტია.

რაც შეეხება საზოგადოებრივ მუხტს, ნიკა ჩიტაძე მიიჩნევს, რომ ხალხის ნაწილს ეს მუხტი აქვს და ბოლომდე ბრძოლის მზადყოფნაც გააჩნია. ეს არ ნიშნავს, რომ ყოველდღე კარავში დარჩებიან ადამიანები. რა თქმა უნდა, ოპოზიციამ უნდა იმუშაოს დასავლელ პარტნიორებთან, ბევრი რამ არის დამოკიდებული თუნდაც იმავე 5 ნოემბერზე, ვინ გაიმარჯვებს აშშ-ის არჩევნებში. თუკი კამალა ჰარისი გაიმარჯვებს, მეტი შანსია, ივანიშვილს სანქციები დაუწესონ.

„არ ვამბობ, ყველამ კარვებში გაატაროს დრო, მაგრამ ხანდახან საჭიროა ის კარავიც. 2012 წელს ძალიან ბევრი ადამიანი, ვინც ხმას აძლევდა „ქართულ ოცნებას“, ამბობდა, თუ არ მოგვეწონება, გადავირჩევთო, მაგრამ ასეთ პირობებში როგორ გადავირჩევთ?! ნათია მეზვრიშვილის განცხადებაც გასათვალისწინებელია, საეჭვოა, ამომრჩეველი კარვებში შევიდესო, მაგრამ ამის მიზეზი ის არის, რომ ნათია მეზვრიშვილი გახარიას პარტიას განეკუთვნება, გახარია კი ცდილობს, ითამაშოს დამოუკიდებელი პოლიტიკური სუბიექტის როლი, რომ ის არ არის კოლექტიურ ნაცებთან ინტეგრირებული. გახარია ვითომ თავის თამაშს თამაშობს. ახლა ყველაფერი ხალხზეა დამოკიდებული, ხალხმა იბრძოლა გაზაფხულზე, მართალია, მიიღეს რუსული კანონი, მაგრამ ბრძოლა მაინც საჭიროა“, – აღნიშნა ნიკა ჩიტაძემ.

მანანა ნოზაძე

...ჯერ 7-ზე გეტყვითო, მერე 8-ზე გეტყვითო, მერე ორშაბათს გამოიარეთ და გეტყვითო... კარვების მოწყობა, გვარამიას ლიდერობა და ა.შ. ეს ყველაფერი არის მართული იმისთვის, რომ ხალხი დაშალო და თან თქვა, რომ ხარ ოპოზიციონერი, იბრძვი, მაგრამ ხალხი არ აგყვა. სინამდვილეში, არც უნდა აგყვეს, იმიტომ რომ ხალხი ბრძნობს, რომ შენ არანაირი ბრძოლა არ გინდა, შენ გინდა, რომ პარლამენტში რამენაირად შეხვიდე, ოღონდ ისე, რომ სხვას დაბრალდეს ეს.

იაგო ხვიჩია

„ორშაბათი სამუშაო დღეა და შაბათ-კვირა რომ გაქვს, რა ხდება? — მოიცა, სცენის დადგმა თუ შეგეძლო 5 დღის წინ და ფინანსი გქონდა, ხომ შეკრიბე და მოვიდა ხალხი კაცო, დარჩი რა... მოგბივიდეს რუსთაველზე 180 000 კაცი და საათ-ნახევარში გაუშვა, ამას ბრძოლა ჰქვია?! ამას შეცდომა არ ჰქვია?! — ფული გადაწყვეტს ოპოზიციის მუშაობას?! — ის, რომ სცენა ვიღაცამ დადგა, მიკროფონი დადგა და ამიტომ მისი ნებართვით უნდა ხდებოდეს რაღაც შეკრებები, ეს მოუტანს ოპოზიციას კი არა, ქვეყანას მარცხს...

თაკო ჩარკვიანი

გუშინდელი ფოსტიდან

რა ესირცხვილებოდა უიტმენს!



ჩემო ალალმართალო, დასაბამიდან ბოროტებასთან, უღმერთო იმპერიებთან მებრძოლო ქრისტიანული სამყაროს აუღებელო ციხეგალავანო, მართლმადიდებლურო საქართველო!

შენი მოსისხლე მტრები, იმპერიები, აღარ არსებობენ. შენ კი, უფლის მადლით, ცოცხლობდი, ცოცხლობ და იცოცხლებ მარადის, რადგან ღმერთის სახე-ხატი ხარ და უკვდავება შენი წილხვედრია ღმერთის დარად. და მაინც, ვინ არის ღმერთი, ასე რომ ეშინიათ უღმერთოებს მისი?

ღმერთი არის სული ნათელი, დაუსაბამო და მიზეზი ყოველთა დასაბამიერთა და დამბადებელი ყოველთა“...

„ღმერთი არს სიყვარული“.

ასეა ქრისტიანულად ახსნილი მამაზეციერის არსება. ლუდვიგ ფოიერბახი კი ბრძანებს, ქრისტიანობა მორალური კატეგორიაა.

„გადასხვაფერდა ყოველი“. ადამიანთა მოდგმის „ზნეობამაც იცვალა ფერი“. უღმერთობის ჩამოდგა ჟამი, „ჟამი არს სიძულვილისაი“.

ჩვენ, წამიერად თავი დავაღწიეთ ბოროტების იმპერიას, მაგრამ ამ ქართულად მოლაპარაკე ავსულთა ღალატით, ისევ ურჩხულის ხახაში აღმოვჩნდით. ახლა ვითვლით, ვითვლით და ვერ დაგვითვლია, ვერ გაგვიგია ეს ცბიერი, სასტიკი ურჩხული რამდენ თავიანია...

ცნობილია, ევროპელთა დიდმა ნაწილმა კარგა ხანია, დაგმო ღმერთი და ქრისტიანულ მორალთან მწყრალად არიან, ხოლო ამერიკის შეერთებული შტატების ახლანდელი მესვეურების ბოლოდროინდელმა ძალადობრივმა, ანტიჰუმანურმა ქმედებებმა უდიდესი ამერიკელი პოეტი უოლტ უიტმენი გამახსენა, 1880 წელია. ჟურნალისტი უოლტ უიტმენს ეკითხება: რა აზრისა ხართ ამერიკელებზე და ამერიკაზე! შეკითხვას მხცოვანი პოეტი ასე უპასუხებს:

„როცა ევროპელები აქ მოვიდნენ, ადგილობრივი მოსახლეობა ხოცეს და ხოცეს, ამოწყვიტეს, ამოჟუჟეს... დღეს, აქ ათასი რჯულის, ათასი ეროვნების ადამიანი ცხოვრობს, ჩვენ ერად ვერ ჩამოვყალიბდებით, ამ ხალხის გასაერთიანებლად რაღაც იდეას მოიგონებენ... ისე კი მე ძალიან, ძალიან მრცხვენია, აქ რომ დავიბადე“.

რა ხდება ახლა! „ჟამი არს სიძულვილისაი“. უფლის მოძულე გვეუბნება, შეიძულე ღმერთი, სამშობლო... აჰა, იარაღი, ხოცეთ და ხოცეთ ერთმანეთი, მერე მიგიღებთ ევროკავშირშიო...

ახლანდელი ამერიკის და ევროკავშირის მესვეურებო, თქვენ საერთოდ არ იცნობთ ქართველებს და საქართველოს.

იცით თუ არა თქვენ, რომ შორეულ, მე-12 საუკუნეში, უდიდესმა ქართველმა პოეტმა შოთა რუსთაველმა პირველმა აზიარა კაცობრიობა რენესანსის, ჰუმანიზმის იდეალებს და გასძახა მსოფლიოს: **„ვინ მოყვარესა არ ეძებს, იგი თავისა მტერია“! „ბოროტსა სძლია კეთილმან, – არსება მისი გრძელია“!..**

მრავალათასწლოვანი საქართველო ბოროტებასთან ბრძოლაში, უფლის მადლით, ყოველთვის იმარჯვებდა, ახლაც გავიმარჯვებთ!..

ის, რასაც „კეთილი ფესვი“, წარსული არ აქვს, განწირულია დასაღუპავად. იმპერიები, უღმერთობით წარმოიქმნებიან, მერე ქრებიან...

უფალო, გააბრწყინე, სულიწმინდით ფესვძლიერი, ღვთისმშობლის წილხვდომილი, ფარნავაზის, ქუჯის, მირიანის, გორგასლის, აღმაშენებლის, რუსთაველის, ილია ჭავჭავაძის, ზვიად გამსახურდიას, მერაბ კოსტავას, ჟიული შარტავას, გურამ გამესკირიას, გიორგი ანწუხელიძის საქართველო!



ირაკლი ვაშაყმაძე

DIE WELTWOCHE

საქართველოს სჭირდება დასავლეთი, როგორც გზამკვლევი, თუმცა დასავლეთსაც სჭირდება საქართველო!

შვეიცარიული გამოცემა „DIE WELTWOCHE“-ის მიერ გამოქვეყნებულ სტატიაში სათაურით „საქართველო არ იქნება სათამაშო გურთი“ ავტორი მკითხველს რუსეთთან ურთიერთობების თაობაზე მოუთხრობს. ამასთან, დღეს საქართველოში არსებულ თავისუფლების დონეს უსვამს ხაზს.

„მათ არაფრის ეშინიათ. შიში ეკუთვნის წარსულს“, წერს ფსევდონიმით ალექსანდრე ვირსალაძე და ჰყვება, რომ არჩევნებში მეორე ადგილზე გასული ოპოზიციური პარტიის „კოალიცია ცვლილებებისთვის„ სიის პირველი ნომერი ქალბატონი დღესაც თბილისის მერიაში მუშაობს და წინა ხელისუფლებისგან განსხვავებით, ის სამსახურიდან **განსხვავებული შეხედულებების გამო არავის გაუთავისუფლებია“.**

ავტორი მკითხველს „ქართული ოცნების“ მიერ ევროინტეგრაციის გზაზე მიღწეულ შედეგებს ახსენებს .

„ფაქტებს დავუბრუნდეთ, მას შემდეგ რაც სააკაშვილის ხელისუფლებამ სტრატეგიული ობიექტები რუსეთს მიჰყიდა და 2008 წლის ომის შედეგად ტერიტორიის 20 % რუსეთს გადასცა, „ქართული ოცნების“ ხელისუფლება ევროკავშირთან ასოცირების და თავისუფალი ვაჭრობის ხელშეკრულებას აფორმებს, ასევე კონსტიტუციაში ჩაწერს ნატოსკენ და ევროკავშირისკენ სწრაფვის ვალდებულებას და მიიღებს ევროკავშირის კანდიდატი ქვეყნის სტატუსს. „ოცნების“ ხელისუფლება ისევ პროდასავლურ კურსის მხარდამჭერად პოზიციონირებს, მაშინ რატომ რაცხავენ მას პრორუსად?“, – წერია სტატიაში.

ავტორი წერს, რომ საქართველოს ხელისუფლების პრორუსად შერაცხვა ტიპური სტიგმატიზირებაა. საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სანქციებს და მათ მკაცრად იცავს.

„მე ვარ სახელმწიფო ძალაუფლების კრიტიკოსი, როგორც ყველა ინტელიგენტი და განათლებული ადამიანი. თუმცა კრიტიკას სჭირდება დამტკიცება, მხოლოდ მაშინ არის ის ლეგიტიმური. საქართველოს ხელისუფლების პრორუსად შერაცხვა არის ტიპური სტიგმატიზირება. მე ვერ ვერ ვხედავ დასავლური კურსიდან გადახვევის ნიშნებს. რუსეთთან რაციონალური ურთიერთობა, რომლის ტანკები თბილისიდან რამდენიმე ათეულ კილომეტრში დგანან ცუდია? მით უფრო რომ საქართველოში რუსეთთან დიპლომატიური ურთიერთობის აღდგენას არავინ ცდილობს. ყველა ევროპული სახელმწიფო ურთიერთობს რუსეთთან რუსეთ-უკრაინის ომის შემდგომ, მათ შორის ჩვენი ქვეყნის მკაცრი კრიტიკოსებიც. საქართველო ცდილობს, გადარჩეს. სულ ეს არის. საქართველო შეუერთდა საერთაშორისო სანქციებს და მათ მკაცრად იცავს. საქართველომ ასევე ხელი მოაწერა ჰააგისთვის მიმართვას, რომლის საფუძველზეც საერთაშორისო სასამართლომ ვლადიმერ პუტინის დაკავების ბრძანება გასცა. ხოლო თუ საქართველო ორმხრივ სანქციებს დააწესებდა მისი ეკონომიკა 18 %-ით დაზარალდებოდა, რუსეთის შემთხვევაში ეს 0.03 პროცენტი იქნებოდა. ახლა კი მსოფლიო ბანკი და სავალუტო ფონდი საქართველოს ეკონომიკის ზრდას 2024 წელს 5-პროცენტიანი ზრდის ნაცვლად 7.5 პროცენტამდე ზრდიან.“, – ვკითხულობთ სტატიაში.

„საქართველო ელოდება დასავლეთთან ურთიერთობების გადატვირთვას. ვაშინგტონმა და ბრიუსელმა ურთიერთობები გაყინეს, მას შემდეგ, რაც საქართველომ მიიღო უცხოური გავლენის გამჭვირვალობის კანონი, რომელიც რუსული კანონის ანალოგად შეირაცხა. მე ვსვამ კითხვას – ნუთუ ყველას ვინც ამას აცხადებს კანონი წაკითხული აქვს, დარწმუნებული ვარ – არა. არასამთავრობოებს პრობლემა აქვთ გამოქვეყნებასთან, თუ აპროტესტებენ, იმიტომ რომ არ უნდათ გამჭვირვალობა?

პოლიტიკა ცინიკურია, საქართველოს სჭირდება დასავლეთი, როგორც გზამკვლევი. ეს არის მასშტაბი განვითარების, რეფორმების, ტრანსფორმაციის, დემოკრატიის, თუმცა ნამდვილის და არა გაყალბებულის. თუმცა დასავლეთსაც სჭირდება საქართველო, ახალგაზრდა კავკასიური დემოკრატია, რომელმაც 30 წლის განმავლობაში, სამჭოთა კავშირისგან დამოუკიდებლობის მოპოვების შემდეგ ბევრი კონფლიქტი და ეკონომიკური პრობლემები გადაიტანა. ევროპას სჭირდება მისი პოტენციალი, მისი გეოგრაფიული მდებარეობა, რაც მთავარია ადამიანები, რომლებიც მზად არიან იყვნენ პარტნიორები, პარტნიორები და არა ბრძანებების ბრმა შემსრულებლები.“, – წერია სტატიაში.

კინოსა და ღვინის საერთაშორისო ფესტივალი WINECAST, – წინანდლის მამულში

ფესტივალის პირველი დღე, 8 ნოემბერს თბილისში, ღვინის მუზეუმსა და „თამადის“ ძეგლის მიმდებარე ტერიტორიაზე გაიმართება, სადაც საზეიმოდ გაიხსნება ქართული ვაზის ჯიშის, საფერავის მემორიალური დაფა და ამით საფუძველი ჩაეყრება „ვაზის ხეივნის“ დაარსებას დედაქალაქის ისტორიულ უბანში. აღსანიშნავია, რომ აქვე შედგება ფილმ „ქვევრის“ ჩვენება და საფერავის დეგუსტაცია. „Winecast“ საფესტივალო დღეების მანძილზე სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დაესწრონ ფილმების ჩვენებებს, ღვინის დეგუსტაციებს, ქართული უნიკალური ყველისა და ღვინის შეხამების მასტერკლასებს, ამერიკული ღვინის დეგუსტაციებს, კინო მასტერკლასებს, საღამოს კი მათ საშუალება ექნებათ, ისიამოვნონ ცოცხალი მუსიკით. „Winecast“ ფესტივალის კიდევ უფრო მნიშვნელოვანი ნაწილი, 9 და 10 ნოემბერს, კახეთში, წინანდლის მამულში გადაინაცვლებს, სადაც, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ შემოდგომის ულამაზესი ფერებითა და გარემოთი დატკბნენ და ისიამოვნონ სხვადასხვა ღონისძიებებზე

დასწრებით. გაიმართება უახლესი და კლასიკად წოდებული ფილმების ჩვენება, შეხვედრები და დისკუსიები რეჟისორებთან.წარმოდგენილი იქნება ბრმა დეგუსტაციის გზით შერჩეული 30-მდე ქართული მეღვინეობა და 100-ზე მეტი დასახელების საუკეთესო ღვინის გამოფენა.ამერიკიდან მოწვეული მაგისტრი სომელიეები ჩაატარებენ მასტერკლასებსა და ამერიკული ღვინის დეგუსტაციებს. ფესტივალის სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ დააგემოვნონ კალიფორნიული საუკეთესო ღვინოები და გაეცნონ ამერიკული ღვინის კულტურას. ფესტივალის ფარგლებში შეხვედრა შედგება რეჟისორ ნანა ჯორჯაძესთან, რომელიც ფესტივალის საპატიო სტუმარია. დამსწრე აუდიტორიას საშუალება ექნება დაესწროს მის მიერ წარდგენილი ოსკაროსანი ფილმის „შეყვარებული კულინარის 1001რეცეპტი“ ჩვენებას, რომელშიც პიერ რიშარი და ნინო კირთაძე მონაწილეობენ.

სტუმრებს, ასევე ექნებათ შესაძლებლობა გაიცნონ ამერიკული კინო-ორგანიზაციების ხელმძღვანელები, დაესწრონ მათ მიერ ჩატარებულ მასტერკლასებს და ჩაიხედონ ამერიკული კინო-ინდუსტრიის შიდა სამზარეულოში.შედგება უკრაინული გახმაურებული ფილმის „დაჭრილი მიწა“ პრემიერა. ფილმის შემდეგ გაიმართება დისკუსია რეჟისორთან. ასევე მოხდება, უკრაინული ღვინის პრეზენტაცია. ფესტივალის ფარგლებში, პირველად საქართველოში, ჩატარდება ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის კინო პროგრამა „American film showcase“ მიერ ორგანიზებული ვორქშოფი, სპეციალურად ქართველი რეჟისორებისა და პროდიუსერებისთვის.ფესტივალის ორივე დღის ბოლოს, სტუმრებს შესაძლებლობა ექნებათ ღვინით ხელში დაესწრონ დაუვიწყარ კონცერტებს:

9 ნოემბერს წინანდლის ამფითეატრში გაიმართება სალიოს ლაივ პერფორმანსი.

10 ნოემბერს, ფესტივალს დაასრულებს გიგი (პიანომენ) ჭიპაშვილის მუსიკალური საღამო.

მნიშვნელოვანია, რომ ფესტივალის დაჯილდოების ცერემონიალზე გამოვლინდებიან სომელიეების რჩეული ღვინოები და საუკეთესო კინო-პროექტის ავტორები.იელის ნიშნის მქონე ადამიანები“.

იქნებ ვინმემ გაულაწუნოს და გამოაფხიზლოს გზაარეული მთავარსარდალი?

ქართველი ხალხი რომ თავისი ორიგინალობით გამორჩეულია, ვიცით, მაგრამ მათი გამორჩეულობის მახასიათებლების მატებას თუ საზღვარი არ ექნებოდა, ეს ნამდვილად არ ვიცოდით. 2024 წლის ოქტომბრის არჩევნების შედეგებმა ბევრი რამ უკეთ დაგვანახეს, როცა ოპოზიციასთან შედარებით, საგრძნობლად დიდი უპირატესობით, „ქართულმა ოცნებამ“ გაიმარჯვა. ამაში ეჭვი არ გვეპარებოდა, თუმცა დამარცხებულმა ოპოზიციამ ეს არ დაიჯერა და არჩევნები გაყალბდაო – აცხადებს. როგორო, ეკითხებიან, – სამი ათასზე მეტი შინაური თუ საზღვარგარეთიდან მოწვეული დამკვირვებელი არჩევნებს დემოკრატიულ და კონკურენტუნარიანად ხომ აცხადებსო? აი, ამ შეკითხვის პასუხია მეტად უცნაური. თურმე არჩევნები კი ჩატარდა ნორმალურად, მაგრამ იგი არჩევნებამდე გაყალბებულა...

თურმე ნუ იტყვით და, როდესაც ქართველ ხალხთან ერთად ჩვენი მთავრობა უამრავ სასარგებლო პროექტებს ახორციელებდა, ალამაზებდა და ამდიდრებდა ქალაქებს საწარმოებით, უმაღლესი სასწავლებლებით, გზებით, გვირაბებით, საქალაქო ტრანსპორტით, პარკებით, სკვერებით, გამწვანებით, სოფლებში შეჰყავდა წყალი, გაზი, ხელს უწყობდა სოფლის მეურნეობის განვითარებას, პენსიონერებს, სოციალურად დაუცველებს და ვინ მოთვლის ყველაფერს, რასაც ის აკეთებდა რადიკალი ოპოზიციონერების ხმაურიანი და ყოველგვარ მორალს აცდენილი თავდასხმების პირობებში... აი, სწორედ ამ დროს ყალბდებოდა თურმე მომავალი არჩევნები!!! ასე ყოფილა და ჩვენ არ გვცოდნია, ოპოზიციამ კი „ყველაფერი“ იცოდა! გინდ დაიჯერე და გინდ არაო, რომ იტყვიან, სწორედ ასეა საქმე! „მორწმუნენიც“ აღმოჩნდნენ! ჩვენმა საზღვარგარეთელმა „მეგობრებმა“ არ დააყოვნეს და მხარი აუბეს რადიკალებსა და მათ „უჭკვიანეს, უბრძნეს“ ბელადს – სალომეს და კიდევ უფრო ნათლად დაგვანახეს ქართველ ხალხს მტრის მტრობა და მოყვრის მოყვრობა. დაგვარწმუნეს თუ როგორ სწყუროდათ თურმე ჩვენი ხელისუფლების შეცვლა ქვეყანაში გამჭვირვალობისა და „ლგბტ“ პროპაგანდის აღმომფხვრელი კანონების გამო...

არჩევნებში დამაჯერებელი გამარჯვების შემდგომაც ბედავენ და შემოგვძახიან გამჭვირვალობის კანონი გაიტანეთო, ნუთუ ვერ ხედავენ მილიონზე მეტი ამომრჩევლის ნებას – ვიშრომოთ და ვიცხოვროთ ადამიანურად, პატიოსნად კაცურად, ქართულად!

გვიხარია, რომ გავიმარჯვეთ, მაგრამ გვრცხვენია იმ რადიკალებისა, რომლებიც გვინდა თუ არა, ქართველები არიან. გვრცხვენია იმ ამომრჩევლების გამო, რომლებმაც რატომღაც გონება დაიხშვეს, თვალები დაიბრმავეს და დამნაშავეებს მისცეს ხმა. ახლაც მათთან დგანან, ვითომ იმ ხმების დასაბრუნებლად, რომლებიც არც არასოდეს, არავის მიუციათ მათთვის. მათი მიზანი ცხადია – ქვეყნის აწიოკება, დემონსტრაციები, წივილ-კივილი ქუჩებში, რასაც ბევრი უკუღმართი რამ მოჰყვება. ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, ხელისუფლებას ხელს უშლიან საწინაო გზისკენ სვლაში. რა უნდა ქნა, როგორ გინდა დააჯერო ბრიყვი თუ გაურკვეველი მიზეზით გაბოროტებული სალომე, რომელიც მავნებელ ოპოზიციას ხელმძღვანელობს და ევროკავშირის ზოგიერთი დეპუტატის მხარდაჭერით გათამამებული, ქართველ ხალხს ორად ჰყოფს, თითქმის სამოქალაქო ომისკენ უბიძგებს, ნუთუ ამ „პატრიოტებში“ არავინ აღმოჩნდა ჭკუათამყოფელი, კარგად „გაულაწუნოს“ და გამოაფხიზლოს გზაარეული მთავარსარდალი?!

გულნარა სტურუა

გერმანელ მოქალაქეს უკვე შეუძლია სამოქალაქო რეესტრში შეცვალოს ჩანაწერი სქესის და სახელის შესახებ

ამის შესახებ ინფორმაციას tagesschau ავრცელებს.

გამოცემის ინფორმაციით, კანონი თვითგამორკვევის შესახებ, რომელიც საშუალებას აძლევს მოქალაქეს სამოქალაქო აქტების რეგისტრაციის ორგანოში განცხადებით მოითხოვოს მისი სქესის და სახელის შესახებ არსებული ჩანაწერის შეცვლა.

სრულწლოვნების ასაკს მიღწეულ ყველა ადამიანს შეუძლია შეცვალოს ან წაშალოს სქესის შესახებ ჩანაწერი. აქამდე ეს შესაძლებელი იყო, მაგრამ საჭირო იყო ორი ფსიქოლოგიური დასკვნა, სამედიცინო გამოკვლევა და სასამართლოს გადაწყვეტილება. დღეიდან ამ გზის გავლა აღარაა საჭირო. სამოქალაქო აქტების ორგანოს ადგილმდებარეობის მიხედვით, განაცხადის ღირებულება დაახლოებით 30 ევროა, – წერს **tagesschau** და დასძენს, რომ 14 წლამდე ასაკის პირებს ჩანაწერის შეცვლა შეუძლია მხოლოდ მშობლების თანხმობით და სამოქალაქო აქტების ორგანოში მათთან ერთად გამოცხადების გზით, 14 წელს ზემოთ მოზარდებს კი მშობლების თანხმობა ესაჭიროებათ, თუმცა მათი სამოქალაქო აქტების ორგანოში მიყვანა არ მოეთხოვებათ.

ტაჯიკეთში 1 500-ზე მეტი ჯადოქარი დააკავეს!

ტაჯიკეთში უსაფრთხოების ძალებმა დააკავეს ათასზე მეტი ადამიანი, რომლებიც მკითხაობითა და ჯადოქრობით იყვნენ დაკავებული, ასევე 5 ათასი მოლა, რომლებსაც არ ჰქონდათ რელიგიური განათლება. ამის შესახებ რესპუბლიკის პრეზიდენტმა ემომალი რაჰმონმა დუშანბეში მაღალკვალიფიციური სამხედრო პერსონალის მომზადების სახელმწიფო ინსტიტუტის გახსნისას განაცხადა.

„სახელმწიფოს მეთაურის დავალებით და შინაგან საქმეთა ორგანოების მიერ გატარებული ღონისძიებების შედეგად, ქვეყანაში 1,5 ათასი ადამიანი დააკავეს, რომლებიც ჯადოქრობითა და მკითხაობით იყვნენ დაკავებულნი, ხოლო 5 ათასზე მეტი ნახევრად წერა-კითხვის უცოდინარი მოლა. ფანატიზმისთვის (ისინი) დარეგისტრირებულნი იყვნენ შინაგან საქმეთა ორგანოებში“, – განაცხადა სახელმწიფოს მეთაურმა.ეს არ არის პირველი შემთხვევა, როდესაც რაჰმონი ლაპარაკობს ოკულტური მეცნიერებებისა და რელიგიური ფანატიზმის წინააღმდეგ. ასევე, ტაჯიკეთში დიდი ხანია, აკრძალულია ამულეტების დამზადება, ჯადოქრობა და მკითხაობა. დამნაშავეებს 15-დღიანი პატიმრობა ემუქრებათ.

მაინც სიცოცხლე სჯობს!

როგორ შევაჩეროთ პოტენციური თვითმკვლელი?!

2023 წლის მონაცემებით, საქართველოში ჯამში 637-მა ადამიანმა სცადა თვითმკვლელობა. საშუალოდ ეს დღეში ორი ადამიანია. დაავადებათა კონტროლის ეროვნული ცენტრის მონაცემებით, საქართველოს ზრდასრული მოსახლეობის 1.8 პროცენტს გოლო 12 თვის განმავლობაში უფიქრია თავის მოკვლაზე. ტაბუს გამო, ეს მონაცემები რეალურზე ნაკლებია.

თვითმკვლელობის თავიდან აცილება ხშირად შესაძლებელია, განსაკუთრებით, თუ ეს ღია სივრცეში, სხვების დასანახად ხდება. ბევრ ქვეყანაში ასეთ დროს მაშველებთან ერთად ადგილზე მიდის სპეციალურად მომზადებული კადრი, ხშირად ფსიქოლოგი, რომელიც პოტენციური თვითმკვლელის გადარწმუნებას ცდილობს.

არსებობს თუ არა ასეთი ადამიანი – სპეციალური მომლაპარაკებელი საქართველოში? შინაგან საქმეთა სამინისტრომ რადიო თავისუფლებას ამ კითხვაზე არ უპასუხა.

ფსიქოლოგი *ნანა აღაპიშვილი* და მისი გუნდი დიდი ხნის განმავლობაში ცხელ ხაზზე უფასოდ ეხმარებოდა მათ, ვინც სხვადასხვა ფსიქოლოგიური პრობლემით რეკავდა, მათ შორის თავის მოკვლის მსურველებსაც.

რადიო თავისუფლება: ***ერთია, როდესაც ადამიანი თვითმკვლელობის წინ სადმე ჩაიკეტება და ცდილობს მის განზრახვას ხელი არავინ შეუშალოს, მეორეა, როცა სხვების დასანახად აპირებს თავის მოკვლას, მაგალითად, ხიდიდან გადახტომას. შეიძლება ვთქვათ, რომ ქვეცნობიერად მას სურს, რომ ვიღაცამ ხელი შეუშალოს?***

ნანა აღაპიშვილი: დიახ, ეს არის სიგნალი: „გადამარჩინეთ“. ასეთ დროს აუცილებელია, მას დაველაპარაკოთ. ვინც თავის მოკვლას აპირებს, თავისი გეგმა აქვს, მივიდეს კონკრეტულ ადგილამდე, იქიდან გადახტეს... ასეთ დროს წვრილმანმაც კი, რამე უბრალო შეკითხვამ, შეიძლება ამ გეგმას მოწყვიტოს. ის კი არ უნდა ჰკითხო, რატომ ხტებიო. რამე მარტივი შეკითხვა უნდა დაუსვა, რომ იმ წუთას ყურადღება გადაიტანოს და პასუხი გაგცეს. შემდეგ თუ გაგრძელდა ლაპარაკი, შეიძლება რამე პოზიტიურზეც დააფიქრო, რომ რაღაც სინათლის სხივი შემოვიდეს მის ცხოვრებაში. უნდა მოწყვიტო თავის გეგმებს. თავის მოკვლა ადვილი ხომ არ არის, ამაზე ძალიან დიდი ფსიქიკური ძალა იხარჯება.

– არ არის ადვილი? იქნებ, ის უფრო ძნელია, ცოცხალი დარჩე?

– ორივე ძნელია, მაგრამ ვიღაცა მიდის, ელაპარაკება, გადართო თავის გეგმებიდან. იმ წუთას ხომ ჩერდება? ძალიან დიდი შანსი არსებობს იმისა, რომ იმ მომენტში ადამიანი გადარჩეს.

– თუმცა, არის შემთხვევები, როდესაც ადამიანს კატეგორიულად აქვს გადაწყვეტილი თავის მოკვლა.

– რა თქმა უნდა, ეს ფორმულა ყველაზე არ მუშაობს, მაგალითად, ძალიან მძიმე დეპრესიების დროს. მაგრამ უფრო მეტად არიან ისეთები, ვისთანაც შეიძლება გამოსავალი იპოვო. კვლევებიდან ჩანს, რომ შეიძლება ადამიანის ფიქრების 98% უარყოფითი იყოს, მაგრამ 2% მაინც თუ დადებითია, უკვე შეიძლება ამას ჩაეჭიდო და მდგომარეობიდან გამოიყვანო.

– ძირითადად რა უბიძგებს ადამიანს თვითმკვლელობისკენ, ამ შემთხვევაში არ ვგულისხმობ ცხოვრებისეულ პრობლემებს, რადგან ეს მაინც ყველას სხვადასხვაგვარად გადააქვს.

– თუნდაც ის, რომ ადამიანი უსარგებლოდ გრძნობს თავს, ესეც ხომ მოუგვარებელი პრობლემაა?! ეს უნდა დაალაგოს ადამიანმა საკუთარ თავთან. რას ნიშნავს იყო უსარგებლო? ხომ არ შეიძლება, ყველაფერში უსარგებლო იყო.

– მიუხედავად იმისა, რომ არსებობს გარკვეული ნიშნები, ყველა შემთხვევაში შეიძლება შევამჩნიოთ ადამიანს, რომ ის თავის მოკვლას აპირებს?

– შეიძლება ვერც შეამჩნიო. თუ უკვე გადაწყვიტა და გეგმაც შეიმუშავა, არც უნდა, შეატყონ და ხელი შეუშალონ.

– თუმცა, ისეთი შემთხვევებიც კია, როდესაც ადამიანი გაცხადებულად ამბობს, თავს მოვიკლავო და ამას სერიოზულად არავინ იღებს.

– კი, რატომღაც მიიჩნევენ, რომ ვინც თავს იკლავს, ამაზე არ ლაპარაკობს. მთლად ასეც არ არის. ვიღაც განიშნებს, მათ შორის სიტყვითაც. განსაკუთრებით ეს საშიშია, თუ ერთხელ უკვე სცადა თვითმკვლელობა.

– ძირითადად რა საშუალებას ირჩევენ თავის მოსაკლავად?

– მიმართავენ იმას, რაც მათთვის უფრო ხელმისაწვდომია. თუმცა, ხანდახან ცდილობენ, რომ სუიციდს შემზარავი სახე ჰქონდეს.

სუიციდის ბუმი COVID-19-ის შემდეგ

მსოფლიოს ჯანდაცვის ორგანიზაციის მონაცემებით, მსოფლიოში ყოველწლიურად 720 ათასზე მეტი ადამიანი იკლავს თავს.

„თბილისის ბაროკო ფესტივალი“

„საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს მხარდაჭერით, რუსთაველის ეროვნულ თეატრში „თბილისის ბაროკო ფესტივალის“ მე-10 საიუბილეო სეზონი გაიხსნა კონცერტით „ვენეციური ბაროკო“, რომელშიც იტალიელი ვირტუოზი ჩელისტი დავიდე ამადიო და „საქართველოს სინფონიეტა“ მონაწილეობდნენ“, – ამის შესახებ ინფორმაციას კულტურისა და სპორტის სამინისტრო ავრცელებს.

უწყების ცნობით, ფესტივალის გახსნას კულტურისა და სპორტის მინისტრი თინათინ რუხაძე, იტალიის ელჩი საქართველოში მასიმილიანო დ'ანტუონო და სხვა მიწვეული სტუმრები ესწრებოდნენ.

„თბილისის ბაროკო ფესტივალი“ საქართველოს კულტურის სამინისტროს მხარდაჭერით 2015 წელს დაარსდა და ყოველწლიურად ტარდება. საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით ფესტივალი განსაკუთრებულ სეზონს გვთავაზობს – გაიმართება რვა კონცერტი, მასტერკლასები და სამი საჯარო ლექცია. კონცერტები ჩატარდება რუსთაველის ეროვნული თეატრის მცირე სცენაზე და ჯანსუღ კახიძის სახელობის მუსიკალურ-კულტურულ ცენტრში.

„თბილისის ბაროკო ფესტივალში“ „საქართველოს სინფონიეტასთან“ ერთად მონაწილეობენ სხვა ქართველი შემსრულებლები და გუნდები, აგრეთვე, მსოფლიოში აღიარებული ვარსკვლავები.

რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე გაიმართება კონცერტები: „ვენეციური ბაროკო“, „ბაროკო ბავშვებისთვის“, „ფრანგული ბაროკო“ (სოლო საკლავესინო მუსიკა), „ბახის დინასტია“, „მეგობრები – ტელემანი და ფაში“, ანდრეას შოლის „ზეციური ხმა“.

ჯანსუღ კახიძის სახელობის თბილისის მუსიკალურ-კულტურული ცენტრი უმასპინძლებს ფესტივალის ტრადიციულ კონცერტს – „ქართული და ევროპული საეკლესიო მუსიკა“. საიუბილეო სეზონს რუსთაველის თეატრის მცირე სცენაზე დაასრულებს ჟორდი სავალი „ბაროკო კონცერტებითა და ფოლიებით“.

ღონისძიება ორგანიზებულია საქართველოს კულტურისა და სპორტის სამინისტროს, თბილისის სახელმწიფო კამერული ორკესტრის – „საქართველოს სინფონიეტას“, თბილისის მერიის, ფრანგული ინსტიტუტის, იტალიისა და გერმანიის საელჩოების მხარდაჭერით. ფესტივალი 11 დეკემბრამდე გაგრძელდება.

„ფედრა ევრიპიდედან რასინამდე, სენეკადან სარა კეინამდე“

წიგნის წარდგენა და ავტორთან შეხვედრა

დღეს 4 ნოემბერს დიმიტრი ალექსიძის სახელობის თეატრის სცენაზე გაიმართება ოქტავიან საიუს წიგნის – „ფედრა ევრიპიდედან რასინამდე, სენეკადან სარა კეინამდე“ – წარდგენა და ავტორთან შეხვედრა.

შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის ინფორმაციით, ფრანგულიდან თარგმნა მანანა ბოსტოღანაშვილმა; რედაქტორები – მარინე (მაკა) ვასაძე, ანა კვინიკაძე; კომპიუტერული უზრუნველყოფა – ეკატერინე ოქროპირიძე; კორექტორი – მანანა სანადირაძე; საგამომცემლო პროექტის ავტორი – ანა კვინიკაძე.

რა აქცევს ფედრას – ძველი საბერძნეთის თეატრში დამადებულ დრამატულ პერსონაჟს, არქაული პათოსითა და უკონტროლო ეროტიკით, განწირულსა და დატანჯულს დემონური, თვითგამანადგურებელი და საძრახისი სურვილებით – ჩვენს თანამედროვედ? რა ეხმარება მუდმივი მომხიბვლელობის შენარჩუნებაში? რომელი თვისებები აქცევს მას წადილისა და სოციალური ნორმების შეუსაბამობის სიმბოლოდ? ეს არის წიგნი ფედრაზე – თანამედროვე პერსონაჟზე, კვლევა, რომელიც დაგეხმარებათ, გაუგოთ და გააცნობიეროთ მისი ხასიათის თვისებრივი კომპლექსურობა...

ოქტავიან საიუ არის რუმინელი თეატრის მკვლევარი და საერთაშორისო კულტურული ურთიერთობების სპეციალისტი, თეატროლოგიის დოქტორი. დოქტორი საიუ ჰონკონგის მეტროპოლიტენის უნივერსიტეტსა და სიბიუს უნივერსიტეტის სადოქტორო სკოლაში უწყვეტად ეწევა პედაგოგიურ საქმიანობას. იყო ლონდონის უნივერსიტეტის უმაღლესი განათლების სკოლის სტიპენდიატი; ამჟამად ტოკიოს, ჰონკონგის, პეკინისა და ლისაბონის უნივერსიტეტების მოწვეული პროფესორია; ატარებს ლექციებსა და მასტერკლასებს ევროპის, აფრიკის, აზიისა და ახლო აღმოსავლეთის სხვადასხვა უნივერსიტეტში, ასევე გროტოვსკის ინსტიტუტში. ოქტავიან საიუ თეატრთან დაკავშირებული თოთხმეტი წიგნის ავტორია.

წიგნი გამოსცა შოთა რუსთაველის თეატრისა და კინოს სახელმწიფო უნივერსიტეტის გამომცემლობა „კენტავრმა“.

უფრო მეტად მამაკაცები, უფრო ხშირად – ღარიბ და განვითარებად ქვეყნებში. 15-29 წლის ასაკის ადამიანებში სუიციდი სიკვდილის გამომწვევი მესამე მიზეზია.

სუიციდის შემთხვევების რაოდენობა 30 წლის მანძილზე გაორმაგდა 15-19 წლის ახალგაზრდებში და გასამმაგდა 10-14 წლის მოზარდებში. საქართველოში იყო შემთხვევა, როდესაც 2015 წელს 7 წლის ბავშვმა მოიკლა თავი.

ფსიქიატრ **ეკა ჭყონიას** მონაცემებით, ევროპის ქვეყნებთან შედარებით, საქართველოში ამ კუთხით ნაკლებად მიმართავენ სხვებს დასახმარებლად, ასევე იშვიათად მიდიან ოჯახის ექიმთან (პირველადი ჯანდაცვა მთლიანად ამოვარდნილია ამ რგოლიდან) და პირდაპირ მიმართავენ მათთვის სასურველ სპეციალისტს.

ეკა ჭყონია ამბობს, რომ სუიციდის სტატისტიკაზე იმოქმედა კოვიდმაც, მაგალითად, თუ 2020 წელს საქართველოში 379 თვითმკვლელობა მოხდა, 2021 წელს ეს რიცხვი 467-მდე გაიზარდა.

„მსოფლიო გამოცდილება ასეთია – იზოლაციის პერიოდში, როდესაც ხალხი სახლებში იყო ჩაკეტილი, თვითმკვლელობების რაოდენობა შემცირდა, მაგრამ შემდეგ ისევ გაიზარდა. მიზეზებს რაც შეეხება, ჯერ ერთი, თავად იზოლაციამაც ძალიან იმოქმედა, სტრესიც მეტი იყო და სტრესთან დაკავშირებული ფსიქიკური აშლილობებიც. ვარაუდია, რომ ოჯახში მაინც ერთმანეთის თვალთახედვის არეში იყვნენ და თავის მოსაკლავად განცალკევებას ვერ ახერხებდნენ. ამასთან, დახურული იყო ღამის კლუბები და ფსიქოტროპულ ნივთიერებებზე ნაკლებად მიუწვდებოდათ ხელი. როგორც კი კარანტინი მოიხსნა, სუიციდის შემთხვევების რაოდენობა მაშინვე გაიზარდა“, – ამბობს ეკა ჭყონია.

✦ ✦ ✦

დაავადებათა კონტროლის ცენტრი ავრცელებს ინფორმაციას, თუ როგორ შეიძლება მივხვდეთ, რომ ადამიანი შესაძლოა თავის მოკვლას ფიქრობდეს:

ნანა აღაპიშვილი

ხშირად ლაპარაკობს სიკვდილსა და თვითმკვლელობაზე;

ეძებს და იკვლევს თავის მოკვლის სხვადასხვა გზას;

სასოწარკვეთილია. ვერ ხედავს ცხოვრების მიზანს;

თავს გრძნობს ხაფანგში. გრძნობს გაუსაძლის ტკივილს;

ამბობს, რომ ტვირთია სხვა ადამიანებისთვის;

ხშირად მოიხმარს ალკოჰოლს და ნარკოტიკს;

მუდმივად შფოთავს;

თავს გრძნობს გარიყულად, არ არის სოციალურად ადაპტირებული;

სძინავს ბევრი ან ძალიან ცოტა;

აგრესიულია, ლაპარაკობს შურისძიებაზე;

ხშირად რადიკალურად ეცვლება ხასიათი.

თეა თოფურია,
რადიო „თავისუფლება“

განცხადება

საჯარო განხილვის შესახებ

გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვა - შპს „პირველის“ მიერ გორის მუნიციპალიტეტში, 112.5 მგვტ სიმძლავრის ქარის ელექტროსადგურის, 35 კვ მიწისქვეშა ელექტროგადამცემი ხაზის და 35/110/220 კვ ქვესადგურის მშენებლობა და ექსპლუატაცია

გადაწყვეტილების მიმღები უფლებამოსილი ორგანოა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო. საჯარო განხილვის ორგანიზატორია სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი.

დაგეგმილი საქმიანობის გზშ-ის ანგარიშის საჯარო განხილვის დრო და ადგილი: **2024 წლის 10 დეკემბერი, 12:00 საათი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. შავშვების ადმინისტრაციული ერთეულის შენობა, 2024 წლის 10 დეკემბერი, 14:30 საათი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ზეღდულეთის რიტუალების სახლის შენობა, 2024 წლის 11 დეკემბერი, 13:00 საათი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ბერბუკის საჯარო სკოლის შენობა, 2024 წლის 11 დეკემბერი, 15:30 საათი, გორის მუნიციპალიტეტი, სოფ. ქვახვრელის საჯარო სკოლის შენობა.** საჯარო განხილვა ღიაა. მონაწილეობის, შენიშვნებისა და მოსაზრებების წარდგენის უფლება აქვს საზოგადოების ნებისმიერ წარმომადგენელს. წარმოდგენილ დოკუმენტაციასთან დაკავშირებით წერილობითი შენიშვნები და მოსაზრებები შეგიძლიათ გაუგზავნოთ სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს **2024 წლის 27 დეკემბრის ჩათვლით** მისამართზე: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის გამზირი N150 ან ელფოსტაზე: eia@mepa.gov.ge (გამოგზავნისას მიუთითოთ ადრესატი: სსიპ გარემოს ეროვნულ სააგენტოს). მოთხოვნის შემთხვევაში, წარმოდგენილი დოკუმენტაციის ნაბეჭდი/მატერიალური ვერსიის ხელმისაწვდომობას უზრუნველყოფს სსიპ გარემოსდაცვითი ინფორმაციისა და განათლების ცენტრი. საჯარო განხილვასთან დაკავშირებით მიმართეთ ცენტრს (ტელ: 0322 112023, ელფოსტა: ph@eiec.gov.ge, მის: ქ. თბილისი, მარშალ გელოვანის გამზირი N32გ).

განცხადების რეგისტრაციის თარიღი: 2024 წლის 24 ოქტომბერი. განცხადების რეგისტრაციიდან არაუადრეს 51-ე დღისა და არაუგვიანეს 55-ე დღისა სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო გასცემს გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

ტრაგიკომედია გრძელდება

მართალია, რეფერენდუმის ტოლფასი საპარლამენტო არჩევნები 1 კვირის წინათ „ქართული ოცნების“ ტრიუმფით დასრულდა, მაგრამ ოპოზიციური კლოუნადა მაინც გრძელდება და დღეს საღამოს რუსთაველზე მორიგი საცირკო წარმოდგენაა დანიშნული „წართმეული ხმებისა“ და „მოპარული ევროპული მომავლის“ დასაბრუნებლად.

დაანონსებულ „ქუდზე კაცის“ ლოზუნგით შეკმაზულ აქციას სხვა დატვირთვაც აქვს – დასავლური ღირებულებების ერთგული კოალიციების მიერ საპროტესტო ტალღის აგორების გეგმის გაუღერება, რომელიც ქუჩის უწყვეტ თავყრილობაში უნდა გადაიზარდოს, მისი სცენარის შემუშავებაზე კი ისეთი ცხელი თავები იღვწოდნენ, ვიღაც თენგო (თევზაძე) და ტოპტვინა გრიშა (გეგელია) რომ არიან, რასაკვირველია, მთელი ადგილობრივი თუ უცხოური ლიბერალური ბაბლის ჩართულობითა და ინსტრუქტაჟით. იმედია, უკომპრომისო ბრძოლას მუხტის ასაწევად და პროგრესულ ძალთა მორალურად გასამხნევებლად ამჯერადაც შეუერთდებიან ჩვენი დედასამშობლოს მუდამ სასურველი სტუმრები ძვირფასი მიხაელ როთის თავკაცობით. მართლაც, რა გული მოუთმენთ...

„ფულის და სანახაობის“ შესახებ საუბრით დავიწყეთ და კმაყოფილებით უნდა ვთქვა, რომ გართობა არც მე-11 მოწვევის მომავალ უმაღლეს საკანონმდებლო ორგანოში მოგვაკლდება, რადგან დეპუტატის მანდატი (თუ, ბუნებრივია, პირობას ტრადიციისამებრ დაარღვევენ და მოიკოტის ნაცვლად სხდომათა დარბაზში შებრძანდებიან) კვლავ მოიპოვეს საოცნებო „ხაგემ“ და კოლორიტულმა ნაცმდედრიონმა, მაგრამ, სხვათა შორის, მძიმე საკადრო დანაკლისს ვერც ისინი ასცდნენ. ალბათ, დაგაინტერესებთ, ვინ დარჩნენ თამაშგარე მდგომარეობაში თვალსასაჩინო ოპონენტთაგან.

პოალიცია „ერთიანობა-ნაციონალური მოძრაობა“ (სიის რიგითობის მიხედვით): პაატა მანჯგალაძე, თვით გუბაზ სანიკიძე, კეზერას ცოლისძმა დიმიტრი ჩიქოვანი, გიულის გიორგი ჩალაძე, გიორგი ბოტკოველი, დავით კირკიტაძე, აგვისტოს „ომის გმირი“, გენერალი ზაზა გოგავა, ქართულ-უკრაინული პოლიციების რეფორმატორი ხატია დეკანოიძე, ლევან ბეჟუაშვილი, აფრასიძეების ოჯახის ჯალათი გია ბარამიძე, გორელი ზონდერი ბადრი ბასიშვილი, უბრალოდ – მოლაყბე არმაზ ახვლედიანი.

პოალიცია „ძლიერი საქართველო“: გიორგი უშიკიშვილი და ვაჟკაცობის სიმბოლო ალეკო ელისაშვილი.

პარტია „გახარია საქართველოსთვის“: შალვა კერესელიძე, ყოფილი მინისტრი ელგუჯა ხოკრიშვილი და უფლებადამცველი სოფო ხორგუანი.

რაც შეეხება **„პოალიციას ცვლილებებისთვის“**, მან მხოლოდ 20-კაციანი ნაღები საზოგადოება შემოგვთავაზა და ვინაიდან 19 რჩეულს გამოჰკრა ხელი, ოფსაიდში მხოლოდ მავანი თორნიკე ბიკაშვილი დაურჩა.

მოკლედ, ძალიან გვიჭირს ასეთ პროფესიონალ ჟონგლიორებთან, ვიმედოვნებთ, დროებითი განშორება, მაგრამ კაცი იმედით ცოცხლობს და ჩვენც ვიწამოთ, რომ ისინი არც ახალ ამპლუაში მოგვანატრებენ თავს, მათი დუბლიორები კი წინაპართა ღირსეული მემკვიდრეები იქნებიან.

გია პლატონიშვილი

თაობათა ცვლა „ერთიან დამანგრეველ მოძრაობაში“

◎ ტრიუმფის შემდეგ

გუნდიც ოქროსია!

ავთანდილ კენჭაძე

უკვე გაუწყეთ, რომ ამბროლაურელმა ფალავანმა ავთანდილ კენჭაძემ მოჯადოებული წრე გაარღვია და პირველად მოიხვეჭა მსოფლიოს ჩემპიონის ტიტული 79 კგ წონით კატეგორიაში, პარიზის ოლიმპიადის შემდეგ გამართულ პირველ ფორუმს კი ალბანეთის დედაქალაქმა ტირანამ უმასპინძლა.

აღსანიშნავია, რომ საქართველოს ეროვნული ნაკრების თავკაცის **გიორგი იანტგელიძის** შეგირდმა ოქროს მედალი სამშობლოს სპორტულ ყულაბაში ხუთწლიანი პაუზის შემდეგ ჩააჩხრიალა, რამაც მნიშვნელოვანწილად განაპირობა თავისუფალი სტილით მოჭიდავე ჯვაროსანთა გამარჯვება გუნდურ ჩათვლაში (2019 წელს გენო პეტრიაშვილმა გვასახელა).

შთამბეჭდავი გახლავთ ჩვენებურთა ერთ-ერთი ლიდერის საერთო მონაგარიც ხუთი ორთაბრძოლის ჯამში – მან მეტოქეებს 60(!) ქულა აართვა და მხოლოდ 10 დაუთმო, მათ შორის ფინალში უჰიმნო და უდროშო რუსეთელ მუჰამედ მაგომაევთან – 13:4.

ღირსეული ასპარეზობისთვის მადლიერებას იმსახურებენ მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **მირიან მაისურაძე** და კლასიკოსთა ტურნირის ბრინჯაოს პრიზიორები **ნიკო აბულაძე** და **გელა გოლძვაძე.**

◎ ელიტაში

ვილის წვლილი

საქართველოს საფეხბურთო ნაკრების ფრანგი თავკაცი ვილი სანიოლი მსოფლიოს საუკეთესო სანაკრებო მწვრთნელის წოდებაზეა ნომინირებული 20 რჩეულ კოლეგას შორის, რაც, დაგვეთანხმებით, მისი 3-წლიანი მოღვაწეობის უპრეცედენტოდ ღირსეულად დაფასებაა. ამ პერიოდში ჯვაროსნებმა 42 მატჩიდან 20 მოიგეს, 6 ფრედ დაასრულეს, 16 წააგეს და, რაც მთავარია, პირველად ითამაშეს ევრო – 2024-ზე, სადაც ჯგუფური რაუნდიც დაძლიეს და მერვედფინალში მომავალ ჩემპიონთან – ესპანეთთან დამარცხდნენ.

აღსანიშნავია, რომ ბევრი სახელოვანი სპეციალისტი ისე გავიდა პენსიაზე, რომ მსგავსი პატივი არ ღირსებია, კარიერაში კი ყველაზე მეტჯერ – 4-4-ჯერ მეტოქეებს ვისენტე დელ ბოსკემ (ესპანეთი) და იოაჰიმ ლიოვმა (გერმანია) აჯობეს. რაც შეეხება ლიონელ სკალონის (არგენტინა), იგი მოქმედი გვირგვინოსანი გახლავთ და ეს წოდება ზედიზედ 2-ჯერ დაიმსახურა.

დავძენთ, რომ წლეულს უმთავრეს ფავორიტად დე ლა ფუენტეს (ესპანეთი) მიიჩნევენ, თუმცა, ვინ იცის...

◎ სამი წლის შემდეგ

გამარჯვება გაიხსენა

ნიკოლოზ გასილაშვილისთვის სეულის ჩელენჯერი წარმატებული გამოდგა. ქართველმა ჩოგბურთელმა 3-წლიანი პაუზის შემდეგ ტურნირის მოგება შეძლო.

სამხრეთ კორეაში დასრულებული ჩელენჯერის ფინალში, საქართველოს ნომერ პირველი ჩოგანი იაპონელ ტარო დანიელს შეხვდა და მეტოქეს ორ სეტში 7:5 6:4 აჯობა. გასილაშვილს 10 ეისი და 3 ორმაგი შეცდომა ჰქონდა, ხოლო დანიელს 1 ეისი და 3 ორმაგი შეცდომა.

შეხვედრა საათსა და 27 წუთს გაგრძელდა. 32 წლის ქართველმა ჩოგბურთელმა სეულში ფინალის ჩათვლით 4 მეტოქე დაამარცხა, ხოლო ნახევარფინალურ შეხვედრაში ფრანგი ანტუან ესკოფიე არ გამოუცხადდა. გასილაშვილი რეიტინგში 215-ე პოზიციაზეა.

◎ იმედი

მედლების წვიმა

ტრადიციისამებრ, ახალგაზრდა ქართველი ძალოსნები დიდი წარმატებით ასპარეზობენ პოლონეთში მიმდინარე 20 და 23-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე, სადაც უკვე 23 მედალი აქვთ მოხვეჭილი.

უფროს ასაკში განსაკუთრებით გვასახელა **მარიამ მურღვლიანმა** (87 კგ), რომელიც 3 ოქროს დაეუფლა (ატაცი, აკვრა და ორჭიდი), ხოლო მისმა თანატოლმა **ლუკა ქაშიბაძემ** (102 კგ) 3 ბრინჯაო დაიმსახურა.

◎ სიზიფეს შრომა

დაცემის ქრონიკა

პირდაპირ გული მოგიკვდება კაცს – თორნიკე შენგელია საუკეთესოდ თამაშობს, მაგრამ ერთი მერცხლის ჭიკჭიკს ევროლიგაში ვირტუსისთვის გაზაფხული ვერ მოჰყავს. როდემდე?

ამჯერადაც ბოლონიელებმა მე-7 ტურის იტალიური დერბი მილანში 90:99 დათმეს და უკვე 6 წაგებით ბოლო ადგილზე არიან, მათმა ქართველმა ლიდერმა კი პარტნიორებს 25(!) ქულა შესძინა.

როგორც იქნა, ჯვაროსანთა კაპიტანს ღირსეულად აუბა მხარი უბერებელმა სნაიპერმა **მარკო ბელინელიმ,** მაგრამ...

არქეოლოგებმა 8 000 წლის სახლი აღმოაჩინეს

არქეოლოგებმა პრეისტორიული სახლის ნაშთები აღმოაჩინეს და ის დაახლოებით 8000 წლით დაათარიღეს.

მართკუთხა საცხოვრებელი ავსტრიის მეცნიერებათა აკადემიის (Ö A W) მკვლევრებმა სერბეთში, სვინჯარიჩკა ჩუკაში აღმოაჩინეს.

ექსპერტების თქმით, აღმოჩენა კონტინენტის ადრეულ სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებებზე ბევრს ამბობს.

„ეს აღმოჩენა იძლევა არსებითად ახალ შეხედულებებსა და მონაცემებს, რომლებიც, სავარაუდოდ, შეცვლის წინა მოდელებს“, — თქვა გარბარა ჰორეჯსმა, არქეოლოგმა და Ö A W-ის ავსტრიის არქეოლოგიური ინსტიტუტის სამეცნიერო ხელმძღვანელმა.

ახლად აღმოჩენილი ნაგებობა დაახლოებით 8000 წლის წინ ხის ბოძებისგან ააშენეს. მისი ასე დიდი ხნით უვნებლად შემონახვის ფენომენი ხანძრით იხსნება.

„ჩამონგრეულმა და დამწვარმა მასალამ დაფარა სახლის იატაკი, არტეფაქტები, ხელსაწყოები და ჭურჭელი”, — თქვა ჰორეჯსმა.

საცხოვრებელი სახლი შეიცავს მტკიცებულებებს, რომ მისი მცხოვრებლები ინახავდნენ საკვებს, როგორიცაა მარცვლეული და თესლები.

ნეოლითური პერიოდი ბალკანეთში დაახლოებით 8500 წლის წინ დაიწყო და 3500 წელი გაგრძელდა. დაახლოებით ამ პერიოდში ხდებოდა მონადირე-შემგროვებლობიდან სოფლის მეურნეობაზე გადასვლა. სწორედ ასე წარმოიშვა ევროპის კონტინენტზე მუდმივი დასახლებები.

ეს უახლესი აღმოჩენები ეჭვქვეშ აყენებს არსებულ შეხედულებას, რომ ადრეული ნეოლითის ხანაში ამ რეგიონში მცხოვრები ხალხი მომთაბარე იყო.

„ფაქტია, ამ პერიოდში დღევანდელი ბალკანეთის ტერიტორიაზე ადამიანებს მუდმივი დასახლებები უკვე გააჩნდათ“, – თქვა ჰორეჯსმა.

გათხრები სვინჯარიჩკა ჩუკაში 2018 წლიდან მიმდინარეობს და ამ დროის განმავლობაში არქეოლოგებმა ადრეული ნეოლითური პერიოდიდან დასახლებების მრავალი კვალი აღმოაჩინეს.

ეს აღმოჩენები მიეკუთვნება სტარჩევოს კულტურას, რომელიც ერთ-ერთი უძველესი ნეოლითური კულტურაა ბალკანეთის ტერიტორიაზე. სტარჩევოს კულტურა ცნობილია რეგიონში სოფლის მეურნეობის გაჩენითა და ცხოველების მოშინაურებით.

ხსოვნა

მწუხარება წალენჯიხის მერის გიორგი ხარჩილავას გარდაცვალების გამო

საქართველოს პრემიერ-მინისტრი ირაკლი კობახიძე წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის **გიორგი ხარჩილავას** გარდაცვალების გამო მწუხარებას გამოთქვამს.

„საქართველოს მთავრობის სახელით, მწუხარებას გამოვთქვამ წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ხარჩილავას გარდაცვალების გამო. თანავუგრძნობთ გარდაცვლილის ოჯახსა და ახლობლებს“, – ნათქვამია პრემიერ-მინისტრის სამძიმარში.

არსებული ინფორმაციით, წალენჯიხის მუნიციპალიტეტის მერის გიორგი ხარჩილავას გარდაცვალების მიზეზი თრომბი გახდა.

✦ ✦ ✦

54 წლის გია ხარჩილავას მოულოდნელი გარდაცვალების გამო მწუხარება გამოთქვეს აგრეთვე შალვა პაპუაშვილმა, კახა კალაძემ, მამუკა მდინარაძემ და სხვ.

ნოვი სადში ბეტონის ჩამონგრევას 14 ადამიანი ემსხვერპლა...

საპროტესტო დემონსტრაცია ბელგრადში

რკინიგზის სადგურზე მომხდარ შემთხვევასთან დაკავშირებით ასობით ადამიანმა საპროტესტო აქცია გამართა სერბეთის დედაქალაქ ბელგრადში.

დემონსტრანტები სერბეთის ქალაქ ნოვი სადში, რკინიგზის სადგურზე ბეტონის გადახურვის ჩამონგრევის გამო, რომელსაც 14 ადამიანი ემსხვერპლა, ხელისუფლებას დაუდევრობასა და კორუფციაში ადანაშაულებენ.

აქციის მონაწილეებს ხელში ეჭირათ ბანერები წარწერებით „სისხლი თქვენს ხელებზეა“ და „კორუფცია კლავს“. დემონსტრანტები სკანდირებდნენ – „დაა პატიმრეთ პრეზიდენტი ალექსანდრ ვუჩიჩი“.

როგორც „როიტერი“ წერს, სერბეთის ოპოზიციონერი პოლიტიკოსები, აქტივისტები და უფლებადამცველი ჯგუფები ვუჩიჩს და ხელისუფლებას ადანაშაულებენ კორუფციაში, ორგანიზებულ დანაშაულთან კავშირში, ნეპოტიზმსა და გადაჭარბებულ ბიუროკრატიაში.

შეგახსენებთ, სერბეთის ქალაქ ნოვი სადში, რკინიგზის სადგურზე ბეტონის გადახურვა ჩამოინგრა და მოსაცდელში მსხდომ ადამიანებს დაეცა. შედეგად 14 ადამიანი დაიღუპა.

სანთელი



გუგული მაისურაძე

მეუღლე ნელი, და ვერიკო, ძმა მუხანდი, შვილები დიანა და რამაზ მაისურაძეები, რძალი ლალი სოზაშვილი, სიძე ანტონ ბაბუციძე ოჯახებით იუწყებიან რომ გარდაიცვალა დამსახურებული ინჟინერი და ენერგეტიკოსი, ღირსების ორდენის კავალერი, საპატიო რკინიგზელი

გუგული მაისურაძე

პანაშვიდი 4 ნოემბერს, 16 საათიდან.

გამოსვენება 5 ნოემბერს, 14 სთ-ზე. მისამართი: თბილისი, დგებუაძის ქ. 1, მე-4 სადარბაზო, მე-6 სართული.

მკვლელობა მესტიაში

შინაგან საქმეთა სამინისტროს სამეგრელო-ზემო სვანეთის პოლიციის დეპარტამენტის თანამშრომლებმა, ცხელ კვალზე ჩატარებული ოპერატიული ღონისძიებებისა და საგამოძიებო მოქმედებების შედეგად, განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ბრალდებით 1976 წელს დაბადებული კ.დ. დააკავეს. ინფორმაციას შსს ავრცელებს.

უწყების ცნობით, გამოძიებით დადგინდა, რომ ბრალდებულმა მიმდინარე წლის 31 ოქტომბერს, მესტიის მუნიციპალიტეტში, წარსულში არსებული კონფლიქტის ნიადაგზე, თანასოფლელი – 1963 წელს დაბადებული თ.დ. ცეცხლსასროლი იარაღიდან რამდენიმე გასროლით დაჭრა და შემთხვევის ადგილიდან მიიმალა. მიღებული დაზიანებების შედეგად თ.დ. ადგილზე გარდაიცვალა.

“ჩატარებული საგამოძიებო მოქმედებების შედეგად სამართალდამცველებმა ბრალდებული ცხელ კვალზე დააკავეს. პოლიციამ დანაშაულის ჩადენის იარაღი ნივთმტკიცებად ამოიღო.

განზრახ მკვლელობისა და ცეცხლსასროლი იარაღის უკანონო შეძენა-შენახვა-ტარების ფაქტზე გამოძიება საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსის 108-ე და 236-ე მუხლის მე-3 და მე-4 ნაწილებით მიმდინარეობს. დანაშაული 15 წლამდე ვადით თავისუფლების აღკვეთას ითვალისწინებს”,- ნათქვამია ინფორმაციაში.

ქალი მანქანაში დაიწვა

თეთრიწყაროს მუნიციპალიტეტში, სოფელ კოდაში ავტოსაგზაო შემთხვევა მოხდა, რასაც ერთი ადამიანი ემსხვერპლა.

გავრცელებული ინფორმაციით, ორი ავტომობილი ერთმანეთს შეეჯახა, რის შემდეგაც ერთ-ერთი მანქანა აალდა და ქალი დაიღუპა.

მომხდართან დაკავშირებით გამოძიება სისხლის სამართლის კოდექსის 276-ე მუხლით დაიწყო, რაც ტრანსპორტის მოძრაობის უსაფრთხოების ან ექსპლუატაციის წესის დარღვევას გულისხმობს.

ყოფილი ცოლი ცივი იარაღით დაჭრა

თბილისში კაცმა ყოფილი ცოლი ცივი იარაღით დაჭრა. შემთხვევა პირველ ნოემბერს საღამოს საათებში, დადიანის ქუჩაზე მდებარე სილამაზის სალონში მოხდა, სადაც ქალი მუშაობდა. დაჭრილია კიდევ ერთი ქალი, რომელიც თავდამსხმელის შეკავებას ცდილობდა. არსებული ინფორმაციით კაცი წარსულში ნასამართლევია და მან საპატიმრო დაწესებულება ცოტა ხნის წინ დატოვა.

დაჭრილი ქალები კლინიკაში არიან გადაყვანილი. მათი ჯანმრთელობის მდგომარეობა სტაბილურია.

შსს-ს ინფორმაციით, კაცი ცხელ კვალზე დააკავეს. გამოძიება დაწყებულია სსკ-ის 11 პრიმა 118-ე მუხლის მეორე ნაწილით, რაც გულისხმობს ჯანმრთელობის განზრახ ნაკლებად მძიმე დაზიანებას ოჯახის წევრის მიმართ.

იტალიაში ქურდობისთვის 38 წლის ქართველი დააკავეს

იტალიაში, პოტენცას პროვინციაში, ძვირად ღირებული ბრენდული ტანსაცმლის ქურდობისთვის 38 წლის საქართველოს მოქალაქე დააკავეს. ინფორმაციას იტალიური მედია წერს.

მამაკაცი კარაბინერებმა, ავტომობილების გეგმური შემოწმების დროს დააკავეს.

დანაშაული მიმდინარე წლის თებერვლის თვეში მოხდა, 38 წლის ქართველზე კი ძებნა იყო გამოცხადებული.

გამოძიება მაღაზიის მეპატრონის საჩივრის საფუძველზე დაიწყო. მათი ცნობით, ქართველმა რამდენიმე ძვირად ღირებული დიზაინერული ნივთის მოპარვა და ადგილიდან მიმალვა შეძლო.

ირანში სტუდენტი ქალი პროტესტის ნიშნად გაშიშვლდა

ირანში, თეირანის აზადის უნივერსიტეტის სტუდენტი გოგო პროტესტის ნიშნად უნივერსიტეტის ეზოში გაშიშვლდა. მან ტანისამოსი მას შემდეგ გაიხადა, რაც „მორალის პოლიციის” წევრებმა ჰიჯაბის არასწორ ტარებაში დაადანაშაულეს და მისი ტანსაცმელი დააზიანეს.

ახალგაზრდა ქალი დააკავეს. დაკავების დროს, ქალი კარებს დაეჯახა, რამაც სისხლდენა გამოიწვია. მისი ჯანმრთელობის შესახებ ინფორმაცია ჯერჯერობით არ ვრცელდება.

უნივერსიტეტის სპიკერის ამირ მაჰჯუბის თქმით, დაცვამ სტუდენტი დააკავა, რომელიც უსაფრთხოების ძალებს გადასცეს. მისი განმარტებით, მას “ფსიქიკური აშლილობა” ჰქონდა.

ფაქტის ამსახველი ვიდეოკადრები, სოციალურ ქსელში, სავარაუდოდ, უნივერსიტეტის სხვა სტუდენტებმა განათავსეს, რომელიც ვირუსულად გავრცელდა.

საქართველოში გრანპრი მოგვაქვს!

ოთო ბაზერაშვილის წარმატება საერთაშორისო ფესტივალზე

„რანინას“ მონაწილე, ანსამბლ „შავნაბადას“ სოლისტი და კვარტეტი „ოთხის“ წევრი ოთო ბაზერაშვილი დუბაიდან გრანპრით დაბრუნდა. მომღერალმა საქართველო საერთაშორისო ფესტივალზე United World -2024 წარადგინა.

სასიხარულო ინფორმაციას სოციალურ ქსელში ოთოს დედა ანა დათულიშვილი ავრცელებს.

„გრანპრი საქართველოში მოგვაქვს. არ იყო ადვილი, ძალიან რთული გზები გავიარეთ, მაგრამ ოთომ ეს შეძლო თქვენი გვერდში დგომით. საერთაშორისო ფესტივალი გაიმართა დუბაიში. სადაც 30 ქვეყანას შორის, ოთო ტალანტის კატეგორიაში იღებდა მონაწილეობას“, – წერს ანა დათულიშვილი.

17-წლამდე ფეხბურთელი გოგონები ევროპის ჩემპიონატზე

სალომე ხუბულურის გუნდი შესარჩევი მატჩებისთვის სფფ-ის რუსთავის ტექნიკურ ცენტრში ემზადება. საკვალიფიკაციო ეტაპის მატჩები სლოვაკეთში, 5-11 ნოემბერს გაიმართება. 17-წლამდე გოგონათა ნაკრები ჯგუფის მასპინძელ სლოვაკეთს, მონტენეგროსა და ლატვიას დაუპირისპირდება.

„ბინდისფერია“ წუთისოფელიც და 2025 წელიც!

2025 წლის ფერი უკვე ცნობილია

Worth Global Style Network-მა (WGSN), რომელიც ტენდენციების პროგნოზირებაშია სპეციალიზებული, 2025 წლის ფერი დაასახელა, როგორც „მომავლის ბინდის“ ფერი.

ქსელმა Coloro-სთან ერთად წარმოადგინა Future Dusk – მუქი იისფერი, როგორც ფიზიკური, ისე ვირტუალური რეალობისთვის. „ეს არის საიდუმლო განწყობისა და გაქცევის გრძნობის სინთეზი. ლურჯისა და იისფრის შერწყმა სიურრეალისტურ სამყაროს მოგვაგონებს, რომელიც კოსმოსური ეპოქის გავლენას ზუსტად შეესაბამება. ამავდროულად, იდეალურია ისეთი ცვალებადი პერიოდისთვის, როგორშიც ახლა ვცხოვრობთ“.

14 წლის ამერიკელმა ბიჭმა პესტიციდების დეტექტორი გამოიგონა

აშშ-ში 10 საუკეთესო ახალგაზრდა მეცნიერის დაჯილდოების ოფიციალური ცერემონია გაიმართა – წელს საპატიო ტიტული 14 წლის მეცნიერს, სირიშ სუბაშის გადაეცა. ჯორჯიის შტატში მცხოვრებმა მეცხრე კლასის მოსწავლემ დეტექტორი გამოიგონა (PestiSCAND), რომელიც საკვებ პროდუქტებში პესტიციდებს განსაზღვრავს.

ღონისძიება მინესოტაში გაიმართა. სუბაშიმ ფართო აუდიტორიის წინაშე ინოვაციურ ხელსაწყოზე პრეზენტაცია ჩაატარა. მისი განმარტებით, დეტექტორის შექმნა მას შემდეგ გადაწყვიტა, რაც აღმოაჩინა, რომ აშშ-ის საკვების და წამლის მარეგულირებელი სააგენტოს თანახმად, პროდუქციის 70% პესტიციდებს შეიცავს.

„ჩემს გამოგონებას ორი მთავარი დანიშნულება გააჩნია – ერთი, რომ სწრაფად და ეფექტურად შეძლოს პესტიციდების შემცველობის განსაზღვრა, მეორე კი – მომხმარებელზე მორგებული და დაბალფასიანი იყოს, რათა ყველა მსურველმა შეძლოს მისი შეძენა“, – ამბობს სუბაში.

ბიჭი წარმოშობით ინდოეთიდანაა, თუმცა ის შეერთებულ შტატებში დაიბადა და გაიზარდა. ხელსაწყოს განვითარებისათვის მან პრიზის სახით 25 000 დოლარი მიიღო. სუბაში გეგმავს, მოწყობილობა ბლუთუზის მხარდაჭერით უზრუნველყოს, რათა მომხმარებლებმა გამარტივებულად შეძლონ შემცველობის დადგენა.



რა მოხდება, როცა დედამიწის მეექვსე ოკეანე აღმოცენდება?

გლოგუსებმა, წიგნებისა და პლაკატების წყალობით, ჩვენ კარგად ვიცნობთ, როგორ გამოიყურება დედამიწა ახლა, თავისი ხუთი ოკეანით, შვიდი კონტინენტით და ხმელეთის ცნობადი ფენით. მაგრამ ეს მოცემულობა, შესაძლოა, შეიცვალოს.

მეცნიერებმა დაადასტურეს, რომ წყლის ახალი სხეული აფრიკის კონტინენტის შუაგულში ჩნდება, რომელიც ნახევრად გაყოფას იწყებს. უგანდას და ზამბიას მომავალში, შესაძლოა, ჰქონდეთ საკუთარი სანაპიროები. ცვლილება ხდება ტექტონიკური ფილების მოძრაობის შედეგად. ამის შესახებ უცხოური მედია წერს.

ტექტონიკური ფირფიტები მუდმივად მოძრაობენ, თუმცა მოძრაობები შეუიარაღებელი თვალით არ ჩანს.

აფრიკული, არაბული და სომალის ტექტონიკური ფირფიტები ესაზღვრება ერთმანეთს, მაგრამ ბოლო 30 მილიონი წლის განმავლობაში, როგორც არაბული ფირფიტა, ასევე სომალის ფირფიტა ნელ-ნელა შორდებიან აფრიკის ფირფიტას, რის შედეგადაც წარმოიშვა ის, რაც ცნობილია როგორც აღმოსავლეთ აფრიკის განხეთქილება.

შარშანდელ აღმოჩენებზე საუბრისას, The Economic Times-ში, კრისტოფერ მურმა თქვა: „ეს არის ერთადერთი ადგილი დედამიწაზე, სადაც შეგიძლიათ შეისწავლოთ, თუ როგორ იქცევა კონტინენტური რიფტი ოკეანის რიფად.“

იმის გათვალისწინებით, რომ შესამჩნევი ბზარის გახსნას 30 მილიონი წელი დასჭირდა, უსაფრთხოდ შეიძლება ითქვას, რომ შემდგომ პროცესებსაც არანაკლები დრო დასჭირდება.

„მაგრამ ცვლილება არ შეჩერდება“, – აღნიშნა კენ მაკდონალდმა, საზღვაო გეოფიზიკოსმა და კალიფორნიის უნივერსიტეტის პროფესორმა.

მომავლის ყურებით, მაკდონალდმა ასევე შეძლო, წინასწარ განესაზღვრა, როგორი იქნებოდა სამყარო, როდესაც ეს მილიონობით წელი გაივლის და ოკეანე საბოლოოდ გაიხსნება.

მან თქვა: „ადენის ყურე და წითელი ზღვა დაიტბორება აფარის რეგიონში და აღმოსავლეთ აფრიკის რიფტის ველში, გაჩნდება ახალი ოკეანე და აღმოსავლეთ აფრიკის ეს ნაწილი გახდება მისი ცალკეული პატარა კონტინენტი.“

ინდოეთში სპილოების თითქმის მთელი ჯოგი დაიღუპა!

ცენტრალურ ინდოეთის ნაკრძალში 13 სპილოდან ათი გარდაიცვალა სამი დღის განმავლობაში. კერძოდ, პარკის დაცვამ შენიშნა რამდენიმე სპილო, რომლებიც ცუდად გამოიყურებოდნენ და ამის შესახებ შეატყობინა მენეჯმენტს, რომელმაც გამოიძახა ვეტერინარები.

თავდაპირველად 4 სპილო დაიღუპა. ვეტერინარმა სხვა ცხოველებს სამედიცინო დახმარება გაუწია, თუმცა მეორე დღეს, კიდევ 4 გარდაიცვალა. ბოლოს კი კიდევ ერთი წყვილი.ადგილობრივმა ხელისუფლებამ განაცხადა, რომ ისინი ელოდებიან გაკვეთის შედეგებს სპილოების მასობრივი სიკვდილის მიზეზის გასაგებად. დანარჩენი სამი სპილო, რომელიც ცოცხლად დარჩა, სპეციალისტების მეთვალყურეობის ქვეშ იმყოფება.

მეოთხე მემილიონე მგზავრი

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში მეოთხე მემილიონე მგზავრი დადასტურდა, – ამის შესახებ ინფორმაციას თბილისის აეროპორტი ავრცელებს.

მათივე ცნობით, აღნიშნული ციფრი 2005 წლიდან – დღემდე ტავ ჯორჯიას მიერ აეროპორტების მართვის ისტორიაში რეკორდული მაჩვენებელია.

თბილისის საერთაშორისო აეროპორტში ბოლო რეკორდული მაჩვენებელი 2018 წელს 3,808,772 მგზავრი დადასტურდა. 2024 წლის ბოლომდე თბილისის საერთაშორისო აეროპორტის მგზავრთნაკადი სავარაუდოდ ოთხი მილიონ რვაასი ათასს მიაღწევს.

საქართველოს
www.sak.ge • ფახ. 599000; sak@sak.ge
რესპუბლიკა

გამომცემელი და
მთავარი რედაქტორი
სპარტაკ ქობულია
(599-36-00-35);

რედაქტორის მოადგილე
მამუკა ვაშაკიძე
(597-22-07-04),

შემოქმედებითი ჯგუფი:
**ალეკო ასლანიშვილი,
თემურ ქორიძე,
ოთარ ტურაბელიძე,
გია პლატონიშვილი,**

პიარისა და
მარკეტინგის მენეჯერი
რუსუდან ქობულია
(577-77-27-17),

სტილისტ-კორექტორები:
**ნაირა კეკელია,
მაია იორამაშვილი.**

ოპერატორი
შორენა გვილია.

დამკაბადონებელი
გიორგი მახარაშვილი.

გაზეთის განახლებული
ლოგოს ავტორი
გიორგი ნადარეიშვილი

მისამართი:
თბილისი. აკაკი
წერეთლის N116

**წერილები გამოგზავნეთ
ელექტრონულ
მისამართზე:
sak@sak.ge**

**გაზეთი დამოუკიდებელია
და ხელმძღვანელობს
თავისუფალი პრესის
პრინციპით. რედაქციის
აზრი, შესაძლოა, არ
ემთხვეოდეს ავტორთა
მოსაზრებებს.**

**ფაქტების სიზუსტეზე
პასუხისმგებელია
ავტორი.
საავტორო უფლებები
დაცულია. რედაქცია
პასუხს არ აგებს
სოციალური ქსელიდან
და სხვა მედია-
საშუალებებიდან
გადმობეჭდილ, ან
უცხოური პრესიდან
თარგმნილი მასალების,
ფაქტების, ინფორმაციის
სიზუსტეზე,
აგრეთვე სარეკლამო
განცხადებების
შინაარსსა და სტილზე.**

იბეჭდება სტამბა
„კოლორში“
ე. ბაღდავაძის №3

კოლორ ჯგუფი

UAC(უაკ)070.4(479.22)
C–323

2 009882 616932

**რეკლამისთვის დარეკეთ:
577-77-27-17**
rkobulia29@gmail.com
ანგარიშის ნომერი
GE90BG0000000538329790

**გაზეთის
მომდევნო
ნომერი
გამოვა
ოთხშაბათს,
6 ნოემბერს**